# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 6 მარტი, 2009 წელი.

№ 41 (6142)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ნოლაიდელმა პრეზიდენტს ლაჩარი და მოღალატე უწოდა





yfvecbw rfhub cfmjytkbf=

7

## გიორგი ახვლედიანი: ყველა უბედურების სათავე რევოლუციაა

3



## სულზე უკეთესი კარგს არ ნიშნავს!

4

## რუსეთს კვლავ დასდევს მსჯავრი

8

## იტყვიან ევროპელები უარს „კრემლის გაზის ურდულის“ მძევლობაზე?

6

## მარტოხელა მარჩენალდაკარგული მოხუცების პენსია მეტია თუ რუსლანას ერთი კოცნა?



9

## სიმართლე კი ასეთია

5



პოლიტიკური სპექტაკლი დღესაც გრძელდება. რაც მ. სააკაშვილმა დამართა საქართველოს, დედამიწაზე უთავმოყვარეო და ღირსებააყრილი ხალხის გარდა არავინ მოითმენდა. სამწუხაროდ, დღეს უფრო მეტად დაგვრია ხელი მთვლემარებამ. ხალხს რომ ძილქუში შეეყარა, ცხადია, ხელს აძლევს ხელისუფლებას, მაგრამ ოპოზიცია რას იქმს ამ დროს! ჰაი-ჰაი, რომ ისიც ჩართულია პოლიტიკური სპექტაკლების სცენურ თამაშში და გამოფხიზლების ნაცვლად, კიდევ უფრო აბრუებს და ტვინს ურევს ხალხს



## „აღმოსავლური პარტნიორობა“– გზა კეთილდღეობისკენ თუ დეფოლტისკენ?

2

## ყელში ამოსული ფანდები

## კერძო აზრი

**ალასანიას ახალ გაერთიანებას „ალიანსი-საქართველოსთვის“ უკვე ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. „ამერიკისგან ხელდასხმულ ლიდერს“ განსაკუთრებით ახალ მემარჯვენეებსა და რესპუბლიკელებთან გაერთიანების შემდეგ შეერყა იმიჯი. პროგრესისტული პარტიის ლიდერი, პოლიტოლოგი ვაჟა ჭღენტი ამ ალიანსზე საკუთარ მკვეთრად უარყოფით აზრს გამოთქვამს:**



# ვაჟა ჭღენტი: სააკაშვილის გუნდიდან წამოსულებს შორის ალასანია ყველაზე სუსტი პოლიტიკოსია

— რესპუბლიკელები და ახალი მემარჯვენეები დღენიადაგ ისეთ მოკავშირეებს დაეძებენ, რომელიც მათ ხელისუფლებაში მოიყვანს. კარგად უწყიან, რომ ირაკლი ალასანია აშშ-ს კაცია და სწორედ ამის გამო შეუერთდნენ. ეს პარტიები იდეოლოგიურად დაბნეულები არიან, ამიტომაც სულ ერთია, ვის მიეკედლებიან, ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდნენ. ამ პარტიებს საკუთარი პროგრამაც კი არ გააჩნიათ, უცხოურიდან უხეიროდ გადმოქართულებული ტექსტების გარდა.

**— რატომ ხართ ასე ნეგატიურად განწყობილი ამ პარტიების მიმართ. მით უმეტეს, როგორც ამბობენ, მათ ინტელექტუალური ამომრჩეველი ჰყავთ?**

— ახლახან კითხვა დაუსვეს ქალბატონ ფიქრია ჩიხრაძეს, ეთანხმებით თუ არა სტრატეგიული ობიექტების გაყიდვასო? მან უყოყმანოდ უპასუხა, ვეთანხმები, მაგრამ ყველაფრის გაყიდვა გამჭვირვალედ უნდა მოხდესო. გამოდის, რომ საქართველოს გამჭვირვალედ გაყიდვა დასაშვები ყოფილა.

**— ირაკლი ალასანიას მიმართ რა პრეტენზიები გაქვთ?**

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, ყველა ოპოზიციური პარტია ამბობდა, რომ „ჩასაძირად განწირული გემიდან გამოქცეულ ვირთხებთან“ არ ითანამშრომლებდა. მერე ითქვა, რომ აპატიებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც შედარებით ადრე დატოვეს სააკაშვილის გუნდი. ამ გუნდში „საპატიო“ ადგილი ალასანიასაც ეკავა.

**— კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს მან, თქვენ რას ურჩევდით?**

— პირველ რიგში, მოინანიოს სააკაშვილის ხელისუფლებაში „მოღვაწეობა“.

როცა მას ჰკითხეს, უჭერდა თუ არა მხარს სააკაშვილის ავანტიურას და კოდორის ხეობაში ქართული ჯარის შესვლას, იქ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განთავსებას, განაცხადა, რომ ეს ოპერაცია გამართლებული იყო.

**— თქვენი აზრით, გამართლებული არ იყო?**

— არა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს სააკაშვილის ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო.

სააკაშვილი იმ დროს აფხაზებს უმტკიცებდა, რომ თუ საქართველოს ფარგლებში შემოსვლას ისურვებდნენ, ჯერარნახულ ავტონომიას მიანიჭებდა. ამავე დროს კი უხეშად დაარღვია ავტონომიური სტატუსის ელემენტარული ნორმა და კოდორის ხეობას თვითნებურად ზემო აფხაზეთი დაარქვა.

ალასანია ახლა აცხადებს, აბა, რა ექნა სააკაშვილს, როცა კვიციანი არაადეკვატურად იქცეოდაო.

კვიციანმა მეტი პატრიოტიზმი გამოიჩინა, ვიდრე ხელისუფლებამ. მოერიდა ძმათა სისხლისღვრას, არ დაუპირისპირდა სამთავრობო ჯარებს და გაერიდა.

ახლა კი, არა თუ კვიციანი, მთელი საქართველოს მოსახლეობა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგია. ალასანია აქამდე სააკაშვილის აპოლოგეტი იყო, ახლა რატომღაც სხვა აზრისაა?!

ჩემი აზრით, ალასანია ნაციონალების გუნდიდან გამოქცეულებს შორის, ყველაზე სუსტი პოლიტიკოსია.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

## წკეპლიკა

# ჩემმა ჭალარამ გადამარჩინა

**ეს რამდენიმე წლის წინათ იყო.**

**ფეხით მივუყვებოდი შავი ზღვის ქუჩას. კახეთის გზატკეცილზე რომ გავედი მუშები ვნახე, დიდ რკინის პალოებს არჭობდნენ დამცავ კედელს. იქვე ორი „გალსტუკიანი“ ჯეელი იდგა — „ხელმძღვანელობდნენ“.**

სალამი შევკადრე. მიპასუხეს! ვინ ბრძანდებით და რა უნდა გააკრათ ამ კედელზე-მეთქი, ვკითხე.

— ჩვენ „ნაცები“ ვართ ბიძაჩემო. აქ ტრაფარეტს ვაკრავთ: დღეიდან აეროპორტისკენ მიმავალ ტრასას, კახეთის გზატკეცილის ნაცვლად პრეზიდენტ ბუშის სახელი ერქმევა!..

ვინ დაადგინა ეს-მეთქი, ვკითხე.




— პრეზიდენტმა ბრძანა, პრეზიდენტმა!.. პრეზიდენტ ბუშის ჩამობრძანებასთან დაკავშირებით!..

ჩემდა „საეშმაკოდ“ ენა ვერ გავაჩერე:

„თავზე გვექცევა ქვეყანა,
მეგონა არა გვიშავდა,
ქუჩას ვუცვალეთ სახელი,
და დავრჩით ოხერ-ბუშადა“.

— შენს ჭაღარას ვაპატიებ, თორემ, მაგ სიტყვებს პირში ჩაგჩრიდი!.. — დამიბღვირა „გალსტუკიანმა“ „ნაცმა“ და მივხვდი, მართლაც, ჩემმა ჭაღარამ გადამარჩინა...

მას შემდეგ, მხოლოდ, გუშინწინ გავიარე ფეხით შავი ზღვის ქუჩაზე და ეს **ფოტო** გადავიღე!.. თავისი ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტებს შორის რეიტინგით ბოლოდან მეორე ადგილზე „გასული“ ბუში და „ნაცები“ მოგვაცილებენ აეროპორტისკენ, რათა შევერწყათ მსოფლიო მარაქას!..

იქნებ, უფალმა გადაგვარჩინოს!

**ზაალ ფილფანი**

## კონტაქტები

# საქველმოქმედო კონცერტი ვარშავაში

**ბატონო რედაქტორო, არასდროს დაგიტოვებიათ ჩვენს მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია უყურადღებოდ, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. იმედია, ამჯამადაც მიაწვდით საქართველოს ახალ ინფორმაციას. ჩვენ ვართ თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი, „საქართველოს რესპუბლიკა“ ჩვენი ყოველდღიური „საზრდოა“.**

26 თებერვალს ვარშავის ოპერის დიდ თეატრში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი სახელწოდებით — „საქართველო“.

კონცერტი პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკისა და მისი მეუღლის მარია კაჩინსკას პატრონაჟით შედგა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი პიანისტები ალექსანდრე კორსანტია და ქეთევან ბადრიძე.

კონცერტს დაესწრო საქართველოს პირველი ლედი სანდრა-ელისაბედ რულოვსი, პოლონეთის პრეზიდენტის მეუღლე მარია კაჩინსკა, საქართველოს ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე. კონცერტის ორგანიზატორი იყო არტურ რუბინშტაინის სახელობის მუსიკალური ფესტივალის დირექტორი ვოიჩეხ გროხოვალსკი, რომელიც პროფესიით ისტორიკოსია და დაინტერესებულია საქართველოს ისტორიით. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორია ჰგავს პოლონეთისას. კონცერტის მსვლელობისას მოეწყო გამოფენა, „საქართველო — ქვეყანა ღვინისა და ოქროს საწმისისა“.

კონცერტიდან შემოსული თანხა გადაერიცხა პაატა ბურჭულაძის ფონდ „იავნანას“.

**ნანა ოდილავაძე-ულანსკა, ინგა ბერიძე,**
**პოლონეთში მცხოვრები ქართველები.**

## SIC!

# „აღმოსავლური პარტნიორობა“— გზა კეთილდღეობისკენ თუ დეფოლტისკენ?

## ყელში ამოსული ფანდები



**ახლახან გამოცხადდა ევროკავშირის პროგრამა სახელწოდებით „აღმოსავლური პარტნიორობა“, რომელშიც ყოფილი სსრკ-ის 6 ქვეყანა აღმოჩნდა ჩართული: უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. მცირე ცნობა: „აღმოსავლური პარტნიორობა“ — ეს არის მრავალეროვნული ფორუმი, რომელიც შექმნეს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ექვს ქვეყანასთან. პროგრამა მიმართულია მოლაპარაკებების გასაადვილებლად, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნას, ასევე სავიზო რეჟიმების შემსუბუქებას. პროგრამის ფარგლებში 6 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას 2013 წლამდე გამოეყოფა 350 მილიონი ევრო დამატებითი ფინანსური დახმარების სახით.**

პროგრამის სტარტი, რომელიც არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრებას, მაგრამ ვარაუდობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაახლოებას ამ ორგანიზაციასთან, დაგეგმილია მონაწილე ქვეყნების სამიტზე 7 მაისს, პრაღაში.

თვალში გვხდება ციფრი 350 მილიონი ევრო. და ეს ექვს ქვეყანას ოთხი წლის განმავლობაში... როგორ არ გავიხსენოთ, რომ ახლახან უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ევროკავშირს, აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყანას დახმარების სახით გამოუყოს 190 მილიარდი ევრო. საუბარია მილიარდზე და არა მილიონზე. მართალია, უნგრეთის პრემიერმა უარი მიიღო ამ თხოვნაზე და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბანკების კაპიტალიზაციისთვის მხოლოდ 24,5 მილიარდი ევრო გამოიყოფა (სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ერთად), მაგრამ ეს თანხაც შეუდარებლად დიდია ზემოთ დასახელებულ ციფრზე.

ამავე დროს, „პარტნიორობის“ მონაწილეებს ევროკავშირი (ეკძ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს. დაწყებული ე. წ. ევროპული ფასეულობების აღიარებით და დამთავრებული „ენერგეტიკული უსაფრთხოების“ საკუთარი (ევროპულიძ კონცეფციის გაზიარების მოთხოვნით. ჯერ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ამ „ფასეულობებზე“ და საერთოდ, ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ განვლილ გზაზე.

1990 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 5,5 მილიონ ადამიანს, საკმაოდ მაღალი შობადობის დონით, დასაქმებით, განათლებით. ქვეყანაში ფუნქციონირებდა ინფრასტრუქტურის და მრეწველობის, ასევე სოციალური სფეროს უამრავი ობიექტი. ეს ყველაფერი 1992 წლის შემდეგ თითქმის მთლიანად დაინგრა და დღემდე არ არის აღდგენილი, ახლის აშენებას რომ თავი დავანებოთ. მიუხედავად მიღებული თუ თავს მოხვეული „ევროპული ფასეულობების“, დემოკრატიის, ჰუმანიზმზე და „საკაცობრიო იდეალებზე“ მაღალფარდოვანი საუბრებისა.

იხ. 4 გვ.

## საპარლამენტო ოპოზიცია

**არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ვადამდელი არჩევნების მისაღწევად დასახული გეგმები პარლამენტის უმცირესობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია. შესაბამისად, ისინი არ იზიარებენ არც ერთი პარტიის მოთხოვნებს, არ უერთდებიან სამპუნქტიან დეკლარაციას (რომელსაც სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ თითქმის ყველა ოპოზიციურმა სუბიექტმა მოაწერა ხელი) და ხელისუფლების შესაცვლელად უფრო ცივილიზებული მეთოდების ინიციატივით გამოდიან... ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: კონკრეტულად რა იგულისხმება ამ მეთოდებში, რა აქვთ პარლამენტში მყოფ ოპოზიციონერებს სხვა ანტისახელისუფლებო ძალებისა და მათი გეგმების საწინააღმდეგო და, ზოგადად, რა ალტერნატიულ სქემას სთავაზობენ როგორც ოპოზიციას, ისე საზოგადოებას?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვანი კითხვებით „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს გიორგი ახვლედიანს მივმართეთ.**

# გიორგი ახვლედიანი: ყველა უბედურების სათავე რევოლუციაა



**— ბოლო ერთი თვის მანძილზე არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრში, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, დეკლარაციებისა და სამოქმედო გეგმების ბუმია, თუმცა პარლამენტის უმცირესობა არც ერთ მათგანს არ უერთდება, რაშია საქმე, შემოთავაზება არ მიგიღიათ თუ სურვილი არ გაქვთ?..**

— შემოთავაზებას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, ერთმნიშვნელოვნად ვთანხმდებით, რომ არსებული ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები აბსოლუტურად ყველა სფეროში, მაგრამ ტაქტიკა და სტრატეგია, ამ მიზნის მისაღწევად, ყველა პარტიას განსხვავებული აქვს. ვიღაცა მიიჩნევს, რომ ეს შესაძლებელია ულტიმატუმებითა და მუქარებით, ვიღაცა ქუჩის აქციებსა თუ გადატრიალებას აპირებს, ვიღაცას რეფერენდუმის გზა უფრო ადეკვატურ საშუალებად წარმოუდგენია და ა. შ. ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები მივიჩნევთ, რომ ამისთვის საჭიროა საპარლამენტო ბრძოლა, დასავლეთის მხარდაჭერა და ხელისუფლების მხრიდან დათმობილი ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტების სწორად და მიზანმიმართულად გამოყენება. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით და ეს პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად მშვიდობიანი, ცივილიზებული. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივემხრობით ულტიმატუმების ენით საუბარს, რევოლუციას და ძალადობას. უკვე თვრამეტი წელია ამ გზით მივდივართ და შედეგად რაც მივიღეთ, ყველასთვის ცხადია... დროა ჭკუა ვისწავლოთ და წარსულში დაშვებული შეცდომები კვლავ არ გავიმეოროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით...

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ შევუერთდით ოპოზიციის მემორანდუმს. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალიან დიდი სურვილი იყო, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა შეერთებოდა ამ დეკლარაციას, ვინაიდან ეს იქნებოდა მყარი არგუმენტი იმისთვის, რომ სააკაშვილს დასავლეთისთვის ეთქვა: რა ვქნა, მე კი ვცდილობ ვიყო დემოკრატიული და ველაპარაკო ოპოზიციას, მაგრამ მათ ჩემთან დიალოგი არ უნდათო...

ამის გარდა, ჩვენთვის მიუღებელია ის, რომ მემორანდუმში რიგით მესამე პუნქტად თუ მოთხოვნადაა წარმოდგენილი საარჩევნო გარემოს შეცვლისა და გაუმჯობესების საკითხი. ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა იყოს უპირველესი, რადგან არავითარი აზრი არა აქვს არჩევნების ჩატარებას იმ პირობებში, რაც დღესდღეობითაა ქვეყანაში...

**— კი მაგრამ, თუ ჯერ ხელისუფლება არ შეიცვალა, საარჩევნო გარემო ვინ უნდა გააუმჯობესოს? ისევ ამ ხელისუფლებამ?**

— ყველამ ერთად, ოპოზიციამ და ხელისუფლებამ... მოგვწონს თუ არა, ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას, წინამორბედისგან განსხვავებით, ჰყავს თავისი მომხრეები და გარკვეული რეიტინგიც აქვს. ამიტომ ერთ მაგიდასთან უნდა დავსხდეთ და ერთად უნდა ვიმსჯელოთ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე... სხვანაირად ეს უბრალოდ შეუძლებელია...

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება უწინარესად დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: ერთი ესაა მედიის თავისუფლება ნაციონალური მასშტაბით, სასამართლო სისტემის სიჯანსაღე და ბიზნესის თავისუფლება. დღესდღეობით ბიზნესმენების უმეტესობა გულგახეთქილია იმის გამო, რომ ერთი თეთრიც რომ მისცეს რომელიმე ოპოზიციურ პარტიას წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის, მეორე დღეს მას თვალსა და ხელს შუა გააქრობენ, ყოველ შემთხვევაში, ფულს მაინც შეაწერენ, გაწნავენ ან რამე სხვა უბედურებას დამართებენ. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად არაკონკურენტული გარემოა ხელისუფლებასთან საჭიდაოდ, რაშიც შარშან ორჯერ – 5 იანვარს და 21 მაისს დავრწმუნდით, როცა ოპოზიცია ხელისუფლებასთან ჭიდილში ჩაება და ორივეჯერ ხელისუფლების მოედანზე მისივე წესებით თამაშობდა...

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ აქციებისა და რევოლუციის წინააღმდეგი ხართ. როგორ ფიქრობთ, როცა უკმაყოფილო მოსახლეობა ქუჩაში გამოდის, ეს არ არის პროტესტის დემოკრატიული ფორმა?**

— რა თქმა უნდა, დემოკრატიული ფორმაა, მაგრამ რას მოიტანს ეს? გავიხსენოთ შარშანწინდელი მოვლენები, 2007 წლის ნოემბერში ქუჩაში გამოსულმა ათეულათასობით ადამიანმა ხელისუფლებაზე მოახდინა ძალიან დიდი ზემოქმედება, რამაც შედეგიც გამოიღო – ხელისუფლებამ უკან დაიხია და იძულებული გახდა წასულიყო სერიოზულ დათმობებზე, მაგრამ მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, როგორ გამოიყენეს ეს ანტისახელისუფლებო ძალებმა. გვახსოვს, სააკაშვილმა გამოხატა მზადყოფნა, მთლიანად ოპოზიციისთვის ჩაებარებინა უშიშროების საბჭოს სამდივნო, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საარჩევნო კომისია (თავმჯდომარის შეცვლის უფლებით) და აგრეთვე წამოაყენა ინიციატივა, შექმნილიყო საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფი, რომლის კონტროლს დაექვემდებარებოდა ყველა ძალოვანი მინისტრი... ოპოზიცია რომ ამ შემოთავაზებაზე დათანხმებულიყო, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ორი რამ არ მოხდებოდა ქვეყანაში, რაც უკვე სამწუხაროდ მოხდა, ვგულისხმობ 21 მაისის გაყალბებულ არჩევნებს და აგვისტოს ომს. ვინაიდან ოპოზიციას ექნებოდა მნიშვნელოვანი ბერკეტები ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად და სააკაშვილი პროვოკაციაში თვითნებურად ვერ ჩაებმებოდა...

**— გასაგებია, მაგრამ ოპოზიციამ ჩათვალა, რომ ხელისუფლების შემოთავაზება სატყუარა იყო...**

— ხელისუფლება დათმობაზე თავისი ნებით კი არ მიდიოდა, არამედ საზოგადოებამ აიძულა და შესაბამისად ვერანაირ სატყუარას ამ დათმობებში ვერ ჩადებდნენ. სააკაშვილი ორი მხრიდან – დასავლეთიდან და ქართული საზოგადოებისგან განიცდიდა ზემოქმედებას. ასე რომ, ის ბერკეტები, რაც მას დააყრევინეს, არავითარი ხაფანგი არ იყო და ოპოზიციას უნდა გამოეყენებინა...

**— გარდა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნისა, ოპოზიცია ხელისუფლებას უამრავ დანაშაულში სდებს ბრალს, მათ შორის აგვისტოს ომის ინიცირებასა თუ პროვოკაციაში ჩაბმაშიც. აგრეთვე ხშირად ლაპარაკობენ დღემდე გაუხსნელ მკვლელობებზეც... თქვენ რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეს ბრალდებები?**

— დღემდე გაუხსნელი თუ ნახევრად გახსნილი მკვლელობების თაობაზე, ფართო საზოგადოებას პირველად ინფორმაცია ჩვენმა გუნდმა მიაწოდა. რომ არა ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება და ძალიან დიდი რისკის ფასად მოპოვებული მასალები, კაციშვილს დღემდე არ ეცოდინებოდა არც გირგვლიანის, არც ვაზაგაშვილის, არც რობაქიძის და სხვა მსგავსი მკვლელობების შესახებ.

რაც შეეხება აგვისტოს ომს, საომარი მოქმედებების შეწყვეტისთანავე შეიქმნა დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც აწარმოებდა კონკრეტული პიროვნებების დაკითხვას და ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა საშუალება პირდაპირ ეთერში ენახა ყველა იმ ადამიანების დაკითხვა, რომლებიც გარკვეულ პასუხისმგებლობას ილებდნენ მომხდარში. დანარჩენი თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს...

**— თუმცა ამ კომისიის სხდომაზე იყო გარკვეული დაძაბულობაც, თუნდაც იგივე კიწმარიშვილის მოსმენის დღესაც...**

— ეს კიწმარიშვილისა და გივი თარგამაძის საქმეა, ისინი ყოველთვის იყვნენ ერთ გუნდში და დღესაც არიან. ასე რომ, თუ რამე ვერ გაიყვეს და სადავო აქვთ, ერთმანეთში არკვიონ.

**— 12 დეკემბერს წლიური ანგარიშის წარსადგენად პარლამენტში მისულ პრეზიდენტს თქვენ საკმაოდ მწვავე კითხვები დაუსვით. რამდენად ამომწურავი იყო მისი პასუხები, კმაყოფილი დარჩით?**

— არათუ ამომწურავი არ იყო, არც ერთ კითხვაზე ადეკვატურად არ უპასუხია. ეს გასახარი სულაც არ არის, პირიქით, ძალიან სამწუხაროა, როცა ქვეყნის პირველ პირს ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეუძლია. ჩემთვის მთავარი იყო, ეს საკითხები წამომეჭრა, დანარჩენი თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს, ხალხმა დაასკვნას, არის თუ არა ეს ის ადამიანი, როელიც ქვეყანას უნდა მართავდეს, რომელსაც შეიძლება არჩევნებში ორი ტომარა ფქვილის გამო ხმა კიდევ მივცეთ?.. თუ შესაცვლელია, ბუნებრივია, უნდა შევცვალოთ, ოღონდ უნდა გადავირჩიოთ, და არა ნაჯახი ჩავარტყათ და ჩამოვაგდოთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთხელ უკვე გამოვცადეთ რევოლუციით მოსული ხელისუფლება და ვხედავთ, რა შედეგიც მივიღეთ... სწორედ რევოლუციაა იმ უბედურებების სათავე, რაც დღეს საქართველოში ხდება, გადატრიალებისა და არეულობის გზით მოსულმა სახელისუფლებო ძალამ წალეკა ყოველგვარი დემოკრატიული ღირებულებები და ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა, რაც გარკვეულწილად, ბუნებრივიცაა... ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დავფიქრდეთ და სამუდამოდ წერტილი დავუსვათ ყოველ სამ-ოთხ წელიწადში რევოლუციების მოწყობას...

**— ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ირაკლი ალასანია მოიაზრება (როგორც საზოგადოებაში, ისე ოპოზიციურ სპექტრში), თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ალასანია ის პიროვნება, რომელიც დღესდღეობით საქართველოს სჭირდება?**

— ალასანიას მთავარი პლუსი ის არის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია მისი მინუსები, თუმცა ის ნაბიჯები, რაც მან აქამდე გადადგა, იყო ძალიან სიღრმისეული, თანამიმდევრული და კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული. რაც შეეხება მის ალიანსს, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორ მოახერხებენ მასში შემავალი სუბიექტები ინტერესთა შეთავსებას კრიტიკულ სიტუაციაში, მაგრამ უახლოეს მომავალში გაირკვევა, რამდენად პერსპექტიული და მყარია ეს გაერთიანება...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## მესამე ეროვნული...

# TYF7 VFVEKB7 CFHOVEYJT,F888 VTAT

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა კავშირის, მონარქისტული მოძრაობის „სამეფო გვირგვინის“ მესამე ეროვნული ყრილობა.**

იგი გახსნა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ ლიდერმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა, რომელმაც სიტყვა გადასცა გამოჩენილ მომღერალსა და ქველმოქმედს, ფონდ „იავნანას“ პრეზიდენტს **პაატა ბურჭულაძეს**.

იგი გულითადად მიესალმა შეკრებილთ და აღუთქვა თანადგომა ამ კეთილშობილურ საქმეში.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი **რეზო მიშველაძე, მამა იესე (წერეთელი),** კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე,** პოლიტიკოსი **ზვიად ძიძიგური, მამა ნოდარი (ქათამაძე),** პოლიტიკოსი **იოსებ შატბერაშვილი,** მეცნიერი, ისტორიკოსი **ზურაბ რატიანი,** საზოგადო მოღვაწე **დავით გოგაძე,** პოეტი **ნოდარ ჯალალონია,** მწერალი **თენგიზ თავდგირიძე,** თავადაზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ჩხეიძე, მეცნიერი **ნოდარ თარხანმოურავი** და სხვები.

შეკრებილებმა ისაუბრეს საქართველოში მონარქიის აღდგენის თავისებურებებზე.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა შეესაბამება როგორც დემოკრატიულ პროცესებს, ასევე ერსა და სახელმწიფოს აქცევს ბუნებრივ კალაპოტში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ჰარმონიულ განვითარებას და საზოგადოების შემდგომ კონსოლიდაციას.

ყრილობაზე დასახეს ძირითადი სტრატეგიისა და ტაქტიკის მონახაზები, შემდგომი მუშაობის მიმართულებები.

დარბაზში შეკრებილებთან ერთად მამულის და ქართველი ერისთვის ლოცვა აღავლინა მეუფე **თადეოზმა (იორამაშვილმა).**

**მამია ალაშვილი.**
ავტორის ფოტო



SIC!

(მეორე გვერდიდან)

# „აღმოსავლური პარტნიორობა“ — გზა კეთილდღეობისკენ თუ დეფოლტისკენ?

ამ ყველაფრის ფონზე მიმდინარეობდა საქართველოს (ისევე როგორც სსრკ-ს სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთისძ კოლონიური ძარცვა და ათვისება დასავლური კომპანიების და სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ. ახლა კი არის მცდელობა ამ ექსპანსიის შედეგები დაფიქსირდეს და გამყარდეს სხვადასხვა დოკუმენტებში, და კრიზისის პირობებში ცალკეული ქვეყნები ისევ ჩაითრიონ სახიფათო გეოპოლიტიკურ თამაშებში რუსეთის წინააღმდეგ, რომლის დროსაც ეს ქვეყნები გამოყენებული იქნებიან პაიკების სახით. ხოლო მოსახლეობის ტვინის გამორეცხვისთვის და პოლიტიკური ელიტის მორიგი მოსყიდვისთვის კვლავ ამუშავდება უკვე ყელში ამოსული ფანდები „ველურ“ ქვეყნებში „ევროპული ფასეულობების“ დამკვიდრების და „გრანტ-კრედიტების“ წამოგდების საშუალებით.

ეს ყველაფერი დღევანდელ სიტუაციაში განსაკუთრებით უცნაურად ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ კრახს აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც, სულ რამდენიმე წლის წინათ, მოტყუებული მასები მხიარულად მარშირებდნენ ბრიუსელის მიმართულებით ბეთჰოვენის მუსიკის თანხლებით. ახლა ეს მასები ადგილობრივ პარლამენტებს შტურმით იღებენ, თავად პარლამენტარები კი ევროპაში დარბიან გაწვდილი ხელით. მაგრამ მათ დიდ ყურადღებას არ აქცევენ, ჯერ საკუთარი ეკონომიკებია გადასარჩენი. ამასთან, დასავლეთ ევროპაში სულაც არ არიან აღტაცებული ბევრი აღმოსავლეთევროპული ქვეყნის პროამერიკული პოლიტიკით. ასე რომ, ეს უკანასკნელნი ან უნდა დაემორჩილონ „ბებერ ევროპას“ და უმცროსი პარტნიორის მოკრძალებული როლით დაკმაყოფილდნენ, ან საკუთარი ძალებით შეეცადნონ კრიზისიდან თავის დაღწევას.

მაგრამ კიდევ უფრო ცინიკურად მოჩანს ევროკავშირის მცდელობა მოიპოვოს კონტროლი აზიიდან ენერგომატარებლების ტრანზიტის გზებზე, მათ შორის კასპიის რეგიონზე. ეს სტრატეგია დაწვრილებით არის გაწერილი „აღმოსავლური პარტნიორობის“ დოკუმენტში.

რას მიიღებს საქართველო ამ პოლიტიკის შედეგად? ნათელია, რომ ევროკავშირის ინტერესებში არ შედის „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფნების განვითარება, არამედ მხოლოდ „აღმოსავლეთი-დასავლეთის“ და ისიც რუსეთის გვერდის ავლით. მაგრამ ეს მდგომარეობა, თუმცა ერთი შეხედვით მოგებას უქადის საქართველოს, როგორც „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ დერეფნის მონაწილეს, მაგრამ ამავე დროს შეიცავს რისკებს, რომლებიც ფარავენ ყველა პოზიტიურ შედეგს.

ეს რისკები მდგომარეობს რუსეთის კონტრ-მცდელობაში, არ დაუშვას მხოლოდ „ჰორიზონტალური“, განედური სატრანსპორტო ნაკადების განვითარება. შედეგად, რუსეთის ძირითად დაწოლას განიცდის სწორედ საქართველო, როგორც ამ მარშრუტების ყველაზე სუსტი და კრიტიკული რგოლი. ვერავითარი ამერიკული პროტექციონიზმი ვერ უშლის ამ დაწოლას ხელს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა განათავსა თავისი სამხედრო ბაზები კავკასიონის ქედის სამხრეთით, მათ შორის თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში. შეუძლებელია ახალი „რკინის ფარდის“ აგება შიდა ქართლის ველებზე, ყბადაღებული „მილის“ (ნავთობ- და გაზსადენებისძ დასაცავად.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: საქართველოს ჩართვა, განედურის გარდა, მერიდიანული სატრანსპორტო პროექტებში, პირველ რიგში რუსეთსა და ირანს შორის. საუბარია რკინიგზაზე და მაგისტრალურ გაზსადენებზე, ერთ-ერთი მათგანის მიყიდვა გაზპრომისთვის, როგორც ცნობილია, პირდაპირ დაიბლოკა ამერიკის მაშინდელი ადმინისტრაციის მიერ. ასევე შეიძლება საინტერესო იყოს რუსეთის რკინიგზის მონაწილეობა საქართველოს რკინიგზის პრივატიზებაში, იმ პირობით, რომ განვითარდება ჯვარედინი სატრანსპორტო ნაკადები. ეს ყველაფერი სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს მსოფლიო კრიზისის პირობებში, როცა საქართველოში კატასტროფულად შემცირდა სავალუტო შემოსავლები და ქვეყნის პრიმიტიული ეკონომიკა და ყელამდე ვალში მყოფი საბანკო სისტემა მხოლოდ ევროპულ-ამერიკულ ფინანსურ დახმარებაზეა დამოკიდებული. **ხოლო თუ რა მიზნები აქვთ ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“ და როგორ „დაგვეხმარნენ“ კრიტიკულ სიტუაციაში, საქართველოს მცხოვრებლებმა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს 17 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სულ ახლახანს, 2008 წლის აგვისტოში.**



**გიორგი ვეკუა**

განსჯა

# ცუდზე უკეთესი კარგს არ ნიშნავს!

**ჩინური ანდაზაა: „უკეთესი კარგის მტერიაო“.**

**გასაოცარი ანდაზაა. თუ კარგი გაქვს, უკეთესის ძებნაში შეიძლება ის კარგიც დაკარგო.**

**სამწუხაროდ, ეს ანდაზა ქართველებს არ გამოგვადგება, რადგან ვერც კარგს ვხედავთ და მომავლის იმედიც თანდათან ქრება. დღეს ჩვენს ყოფას სხვა ანდაზა შეეფერება: „ცუდზე უკეთესი კარგი არ არის“.**

როცა ცუდი ხელისუფლება გყავს, მასზე უკეთესი კარგი შეიძლება სულაც არ იყოს და ეს წინა ხელისუფლების შეცვლამ დაადასტურა, რომელსაც „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს.

დღეს ვინმეს კიდევ სჯერა, რომ ის მართლა „რევოლუცია“ იყო? თვით ბატონმა ედუარდმა აღიარა ერთ-ერთ ინტერვიუში: „ხელისუფლება ლანგრით მივართვიო“...

ეს მის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო. ეს იმ დღესაც კარგად გამოჩნდა, როცა „მეამბოხე ვარდოსნები“ პარლამენტის შენობაში „შეიჭრნენ“ შევარდნაძის უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ ფართოდ გაღებული კარებით. შევარდნაძეც მოთმინებით ელოდა მათ მობრძანებას, სპექტაკლის ფინალში რომ ეთქვა: „სახლში მივდივარო“.

რა მივიღეთ? უკეთესი თუ უარესი ხელისუფლება?

განა ახლა ვინმე გაბედავს იმის გაფიქრებასაც კი, რომ თუნდაც გაზაფხულის იებით შევარდეს პარლამენტის შენობაში?

მახსენდება: „ვარდების რევოლუციამდე“ ჩვენს სასიქადულო მეცნიერს და დიდებულ ადამიანს, სულმნათ **ნოდარ ამაღლობელს** შევხვდი უნივერსიტეტის ჭადრებთან. მაშინ ბატონი ნოდარი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის გატანას ცდილობდა პარლამენტის სხდომაზე და რატომღაც ეს პროცედურა იგვიანებდა. ამ კანონის შექმნაში გარკვეულწილად მეც ვიღებდი მონაწილეობას და მისი მიღება უნივერსიტეტს გადარჩენის შანსს უტოვებდა.

ვკითხე, თუ რატომ არ გადის ეს კანონი, ჩამოვთვალე, რამდენი რამ იყო შესაცვლელი და გასაკეთებელი.

ნაღვლიანი თვალებით შემომხედა და მითხრა:

— რა ვქნა, ვიცი რომ ეს ყველაფერი გასაკეთებელია, მაგრამ ჩვენ ხომ სახელმწიფო დავანგრიეთ და ვერ აგვიშენებია, როგორ გინდა ყველაფერი ეს გააკეთო?.

გავკადნიერდი და ვკითხე:

— ხომ კარგად იცით, თუ ვინ დაანგრია ეს სახელმწიფო? რატომ დგახართ მის გვერდით?

პასუხი მოულოდნელი იყო:

— მე იძულებული ვარ ვიდგე მის გვერდით, რადგან მის უკან უარესი მოდის.

— ნუთუ უფრო უარესი? ვერ წარმომიდგენია — გაოცებულმა ვკითხე.

— გაცილებით უარესი, ვერც წარმოიდგენ — მითხრა, მაგრამ ვერ დავიჯერე. ეს მერე ვნახე, რომ ბატონი ნოდარი აბსოლუტურად მართალი იყო.

**დღეს ვგრძნობ, რომ იგივე შეიძლება განმეორდეს, ისევ ამერიკელებისა და რუსების მიერ ერთობლივად დადგმული სპექტაკლი, თუმცა ჩვენ კვლავ იმის იმედი გვაქვს, რომ კარგი თუ არა, უარესი მაინც არ იქნება.**

უარესი ვეღარ წარმოგვიდგენია!

უარესი არც მაშინ წარმოგვიდგინა, მაგრამ საპრეზიდენტო სავარძელში „ედუარდ მეორე“ მოკალათდა.

**დრო მოვიდა და ედუარდ მეორე უნდა გადადგეს, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ სავარძელში ედუარდ მესამე არ აღმოჩნდება?**

ღმერთმა ინებოს და ედუარდების ეს „დინასტია“ საქართველოში აღარ გაგრძელდეს, თორემ ერი ვეღარ გადარჩება.

მაგრამ, ედუარდ მეორე თუნდაც იმიტომ უნდა გადადგეს, რომ ედუარდ მესამემ იგრძნოს: ხალხის მოთხოვნით ისიც უნდა წაბრძანდეს. „დაუსჯელობის სინდრომი“, რომელიც ედუარდ პირველმა „რევოლუციის სპექტაკლის“ წარმატებით გათამაშებისთვის მიიღო, ედუარდ მეორეს ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს. დროზე უნდა გაასწროს, რადგან „კრწანისის რეზიდენციას“ „ავლაბრის რეიხსტაგით“ ვერ შეცვლის. ამაში ფიროსმანის შედევრიც კი ვერ დაეხმარება. პირიქით, სწორედ ფიროსმანის გენია დააჩქარებს მის წასვლას.

მაგრამ როგორ მოდიოდა?

მახსოვს მისი გამოსვლა უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წინაშე 2003 წლის დეკემბერში. ეს იყო მგზნებარე, ენერგიული ახალგაზრდა პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსვლა, რომელმაც უდავოდ დაიპყრო მეცნიერთა გულები. გამოსვლა ედუარდ პირველის თავშეუკავებელი ლანძღვის ფონზე მიმდინარეობდა და თავი უკიდურეს „ანტიშევარდნაძედ“ წარმოგვიდგინა. ისიც ბრძანა, რომ იმ კაცმა ძალზე ცუდ დღეში ჩააგდო მეცნიერება და განათლება, კულტურა, ქვეყნის ეკონომიკა. დაგვპირდა, რომ ის ყველაფერს სასწრაფოდ გამოასწორებდა და რადგან მეცნიერება უპირველესი განძია საქართველოსი, მისი განვითარება ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, „როგორც კი პრეზიდენტად ამირჩევთ, პროფესორის ხელფასი სამ თვეში 300, შეიძლება 500 ლარიც კი გახდესო“.

სწორედ შევარდნაძის ლანძღვა იყო მისი „პიარი“ არჩევნებამდე, რომელიც არჩევისთანავე შეწყდა.

შემდეგ რაც მოხდა, კარგად ვნახეთ. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, სიცივეში, რამდენიმე პროფესორი ვიდექით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეებზე და ხალხს დიქტოფონით მოვუწოდებდით, რომ განათლების შესახებ კანონის მიღება არ დაეშვათ.

ჩვენმა პროტესტებმა არ გაჭრა და პარლამენტმა მიიღო სრულიად ანტიეროვნული და ანტიკონსტიტუციური კანონი, რომელმაც უნივერსიტეტებიც მოსპო, სკოლებიც გაანადგურა და ახალგაზრდებს მაღალი დონის განათლების მიღების უფლება წაართვა.

**უფრო მეტიც, დაიწყო მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა წინააღმდეგ თავშეუკავებელი კამპანია „ჩარეცხილების“ ლოზუნგით და ტერორი, რომელსაც შეეწირა დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის აკადემიკოსი გურამ შარაძის სიცოცხლე... ამ საზარელი მკვლელობის გამოძიება დიდი სახალხო საქმეა და მისი მივიწყება ერის ღალატია.**

შევძლებთ კი განათლების აღდგენას და მეცნიერების გადარჩენას როცა ვხედავთ, თუ რა უსინდისოდ ყრიან სამეცნიერო ინსტიტუტების თანამშრომლებს შენობებიდან? ჯერ აკადემიის ინსტიტუტებს შენობები წაართვეს, შემდეგ გაუყიდეს და სადღაც შეყუჟულ მეცნიერებს შრომის ყოველგვარი უფლება წაართვეს.

ასე მოექცა ედუარდ მეორე იმას, რასაც თვითონ „უპირველესი განძი“ უწოდა.

რას იზამს ედუარდ მესამე თუ მოგვევლინა?

გაგრძელდება ედუარდ მეორეს გზა და დასრულდება ბედკრული საქართველოს ისტორია. **ის ეროვნული და კულტურული სიმდიდრე, რაც ქართველობამ ასეთი დიდი ტანჯვით შემოგვინახა, ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციის პროცესს შეეწირება.**

მანამ, სანამ ქვეყნის განვითარების მთავარი პრიორიტეტი განათლება და მეცნიერება არ გახდება, საქართველო მხოლოდ სხვათა მომსახურე ქვეყანა იქნება. ძირითად პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის (თუნდაც ეკოლოგიურად სუფთაძ პროდუქციის წარმოება და ტურიზმის აყვავება სწორედ ის პრიორიტეტებია, რომელიც მხოლოდ აფრიკის განვითარებად ქვეყნებს აქვთ.

განა შეიძლება გაუნათლებელმა ერმა ან ეკონომიკა ააღორძინოს, ან კულტურა გადაარჩინოს? მეცნიერების ხელშეწყობა კი სწორედ ის სტიმულია, რომელიც განათლების მიღების მოტივაციას ქმნის.

ერს მხოლოდ მისი განათლებულობა გადაარჩენს და არა ევრო-ატლანტიკურ თუ სხვა უცხოურ სივრცეებში „ინტეგრირება“ მაშინ, როცა ჩვენს მიწაზე მცხოვრები სხვა ერების ინტეგრირება ვერ მოგვიხერხებია.

**მერაბ ჯიბლაძე,**

**„ქართული აკადემია“**

ხმა ერის გასაგონად

# „სიტყვით სულ სხვა ხართ, საქმით სხვა"

## სპექტაკლის საზოგადოების ტრაგი-კომედია

ჯერ კიდევ XV-XVI სს-ში ნიკოლო მაკიაველი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ეფუძნება ძალასა და თანხმობას. ეს მაკიაველური კენტავრი (ასე უწოდეს ამ თვალსაზრისს) მიგვანიშნებდა იმაზე, რომ სახელმწიფოს სიმტკიცეს აპირობებს არა მხოლოდ იძულება, არამედ დარწმუნებაც, სხვაგვარად, საზოგადოების დიდი ნაწილი უნდა დარწმუნდეს, რომ ხელისუფლება იღვწის ხალხის სიკეთისათვის და ქვეყნის გადასარჩენად. აი, ამ მეთოდით ცდილობდა და ცდილობს დღევანდელი სოროსის ნაბუშარი ხელისუფლება შეინარჩუნოს ძალაუფლების კვერთხი. იგი ჭარბად იყენებს იძულების, შეშინების ხერხებს და ასევე ცდილობს სიცრუეზე აგებული დემაგოგიური სპექტაკლებით საზოგადოება დაარწმუნოს, რომ მიქაელი და მისი მხედრობა ჩვენ წარსაწყმედად კი არ არის მოვლენილი, არამედ ერისა და სამშობლოს მხსნელად. სწორედ ამ მკრეხელობის გასავრცელებლად განუწყვეტლივ დგამენ სპექტაკლებს.

ამ უმწიფარმა ყმაწვილებმა, რა არის საზოგადოებამ ჩვენი შესაძლებლობა და ძალა ეჭვის ქვეშ არ დააყენოსო, დაიწყეს ხალხში შიშის სინდრომის დათესვა. ჯერ იყო და, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით მიჰყვეს ხელი დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებას. თანაც ამას იქმდნენ ამაზრზენი ფორმით — შუაღამეს თუ უთენიას შავ ნიღაბჩამოფარებული, კბილებამდე შეიარაღებული ჯოჯოები იჭრებოდნენ სახლებში, შიშველ-ტიტვლებს წამოყრიდნენ ოჯახის წევრებს, საცვალის ამარა დარჩენილ დამნაშავეს ბორკილებს ადებდნენ და რტყმევა-რტყმევით მიათრევდნენ.

ყოველივე ეს უმსგავსოება ხდებოდა კამერების წინ და მერე ჩვენი სახელოვანი ტელერეჟისორები ამას დიდი შემოქმედებითი წვით აჩვენებდნენ საზოგადოებას! აქაოდა, გაიგეთ და შეიგნეთ, კანონდამრღვევთა წინააღმდეგ რა შეუპოვარი და მებრძოლი ხელისუფლება გვყავსო. ამ სპექტაკლებს საზოგადოება ერთგვარი შიშით მისჩერებოდა, მისი დიდი ნაწილი ამართლებდა კიდევაც ამ უმსგავსობას, არად აგდებდა იმას, რომ თავად ეს დაჭერები იყო ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. მერე იყო, სამსახურებში იჭრებოდნენ, საჯაროდ აპატიმრებდნენ უდანაშაულო, ვიმეორებ უდანაშაულო ადამიანებს. განაჩენს კი დიდი რიხით კითხულობდა კაცის მკვლელის მშობელი მამა, მეფისტოფელის კარიკატურა, კოხორა კვახითავა ვინმე თოფურიძე. საზოგადოება ამ ტრაგი-კომიკურ ფარსსაც მშვიდად აღიქვამდა, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. არ ანაღვლებდა რომ ამ ფარსის მიღმა ოჯახების დიდი ტრაგედია იმალებოდა.

თუმცა ქართველთა შესაშინებლად მხოლოდ ეს დაჭერები რომ არ იკმარებდა, კარგად გრძნობდა ჩვენი უტიფარი ხელისუფლება. ამიტომაც იგი გადავიდა უდანაშაულო ადამიანთა ხოცვაზე. რამდენ უდანაშაულო ადამიანს გაუსწორდნენ ფიზიკურად, დღისით-მზისით ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. ამასაც არ დასჯერდნენ. ქართველი ახალგაზრდების, საჯიშე ბიჭების, შარა-გზაზე წიწილებივით ამოხოცვა ისე იწყეს, რომ მერე არკვევდნენ მათ ვინაობას და იმასაც — ვინ იყო დამნაშავე და ვინ არა. ასე შეეწირნენ უცოდველი ყმაწვილები: გირგვლიანი, როზაქიძე, ვაზაგაშვილი და სხვები არსებული რეჟიმის კაცთმოძულეობას. მეტიც, საღამოს პირას, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, უსულგულოდ განგმირეს ერისთავის მაშვრალი ადამიანი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გურამ შარაძე, რომლის დამსახურებაც ქართველი მეცნიერებისა და კულტურის წინაშე შეუფასებელია. ეს სულით და გარეგნულად ფაქიზი ადამიანი ორი საათის განმავლობაში სისხლსა და ტალახში ამოგანგლული განისვენებდა მიწაზე და არავის აკარებდნენ. მერე ამ შემაძრწუნებელ კადრებს გამუდმებით ატრიალებდა ტელეეკრანები რამდენიმე დღის განმავლობაში. ეს ყოველივე ხომ ისევ საზოგადოების, უფრო მართებულად, ჭეშმარიტ ერისშვილთა დასამუნჯებლად იყო გამიზნული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრაგედიების შესახებ არსებობს უტყუარი საბუთები, დღესაც არც ერთი ზემოხსენებული მკვლელობის ჩამდენი და შემკვეთი არ არის მხილებული. ქართველი საზოგადოება კვლავაც დუმს, ხმას არ იმაღლებს, ერთ მუშტად შეკრული არ უტევს მკვლელებს, რაც აუცილებლად მეტყველებს იმას, რომ იგი სპექტაკლის საზოგადოებად ქცეულა, ინერტულ, ინიციატივაწაგვრილ, ილუზიებში ჩაძირულ მასად, რომელიც ცხოვრობს პრინციპით — თუ მე არ შემეხება, ქვაქვაზე არ დარჩენილაო. ვერ წარმოუდგენია, რომ უბედურების აძლემი ხვალ მის კართანაც დაიჩოქებს. არადა უეჭველად დაიჩოქებს.

აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის გამაოგნებელი ფაქტი, რომ სილატაკის უფსკრულში ჩაჩეხილ ხალხს გასართობად ძვირად ღირებულ სპექტაკლებს უმართავენ და ისიც პურის ნაცვლად ამ სანახაობას სჯერდება: როსკიპი რუსლანას, „უმანკო შაკირას", ხმაჩახლეჩილ, ზებერ კუტუნიოს და უკვე ჩამოწერილ ინგლისელი მოციგურავეების ყინულზე ფოფხიალსაც „სიამოვნებით" მისჩერებია და უსმენს. ის კი ვერ გაუგია, რომ ეს წარმოდგენები დიდი თანხა უჯდება ბიუჯეტს, რომელიც ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა მოხმარებოდა. ასევე ხმას არ იმაღლებს ფუნქციამოშლილი შადრევნების აგებისა და კედელმონგრეული, საფუძველჩაშლილი სახლების გარეგნული ფასადის ჭრელა-ჭრულად გაფერადების გამო. მაგრამ ყველაზე თავზარდამცემი ის იყო, რომ რუსეთის უწესრიგო არმიასთან დამარცხებულ და კურდღლებივით გამოქცეულ ქართულ არმიას ზარზეიმი გაუმართეს და „გამარჯვების" აღსანიშნავად მთელ საქართველოში ცოცხალი ჯაჭვი გამართეს, რათა სწორუპოვარი მხედართმთავარი, რომელსაც დღესაც გამარჯვება ესიზმრება, „მიშა-მიშას" ძახილით კიდევ უფრო გაემხნევებინათ და უცხოელთა თვალში აემაღლებინათ. არავინ აღარ ფიქრობდა ღირსებააყრილ მხედრებზე, ჩახოცილ და უპატრონოდ დაყრილ გმირულად დაღუპულ მეომრებზე, დაკარგულ 110 სოფელზე, ლტოლვილთა ახალ ნაკადზე, ღვთის ანაბარა რომ იყვნენ მიტოვებულნი, დაკარგულ ახალგორზე, დალის ხეობაზე, საქართველოს გულზე — შუა ქართლის ძირითად ნაწილზე და სხვა. ახლა ვკითხულობ: რას ნიშნავს ეს, თუ არა ხალხის შიზოიდურ მდგომარეობას, თუ არა მის სრულ ინდიფერენტულობას და ტვინგამორეცხილობას?! ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხი გადაგვარების ზღვარს არის მიყვანებული!

ვგრძნობ, სიტყვა გამიგრძელდა დღევანდელი ხელისუფლების „პოლიტიკური სპექტაკლის" ტექნოლოგიაზე, მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვის ისტორია. ამ ოპერაციას, რომელშიც 1000 სპეცნაზელი და 12 ვერტმფრენი მონაწილეობდა, ხელმძღვანელობდა იმ დროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ცნობილი ლიბერალი გ.ბარამიძე. იქ დატრიალებული სცენა თავისი მაშტაბურობით, დაუნდობლობითა და სისაძაგლით ამერიკულ ნებისმიერ „ბოევიკს" დაამშვენებდა. შეუძლებელია არ შეგძრას იმ კადრებმა, თუ როგორ ხოცავენ სასოწარკვეთილ მამა-შვილს... მაგრამ განსაკუთრებით გულისამრევი და თავზარდამცემი იყო ის, თუ როგორ თხრიდნენ „სპეცნაზელები" ძველი სამარხიდან ძვლების ნარჩენებს; თურმე ნუ იტყვით და, ჩვენ წინაპართა ეს ძვლები ყოფილა უტყუარი დასტური აფრასიძეების ჩადენილი მკვლელობისა. მოგვიანებით ყველაფერი გაცხადდა, გაირკვა, რომ ამ ძვლებს, სცენთა ძველი სამარხიდან ამოყრილთ, არავითარი შეხება არ ჰქონდათ მკვლელობებთან, რომელსაც აფრასიძეებს აბრალებდნენ. მაგრამ ამ ამაზრზენმა კადრებმა თავისი საქმე უკვე გააკეთა: ქართველ ხალხში შიშის სინდრომი დათესა. გამჟღავნებული შემზარავი სიყალბისათვის კი არავის ბოდიში არ მოუხდია. წინაპრების ძვლები, უდიერად ტომარაში ჩაყრილი, ისე მიუგდეს ჭირისუფლებს, რომ ახსნა-განმარტებაც კი არ იკადრეს. ეს სცენა თავისი უტიფარი სითავხედით, გაუგონარი სიცრუით და მაშტაბურობით ტიმიშოარას სპექტაკლს თუ შეედრება, ჩაუშესკუს ჩამოსაგდებად და მოსასპობად რომ დაიდგა 1989 წელს და დატრიალებული ამბების კულმინაციად არის მიჩნეული... ტიმიშოარას ტელესპექტაკლი გვიჩვენებდა უამრავ დახოცილთა გვამებს, რომლებიც თითქოს ჩაუშესკუს დიქტატორულმა რეჟიმმა შეიწირა. სინამდვილეში კი სხვადასხვა საავადმყოფოს მორგებიდან შეგროვებული მიცვალებულები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კადრები თეთრზე შავად დაბლანდული, აშკარა ფალსიფიკაცია იყო, მთელი მსოფლიოს მასმედია გადასცემდა როგორც დოკუმენტალურ ქრონიკას, რომელიც „მკვლელი" ჩაუშესკუს სისასტიკეს გვიმტკიცებდა. მსოფლიოს საზოგადოებაც ამ სპექტაკლს მისჩერებოდა და ყოველივეს სიმართლედ და ჭეშმარიტად აღიქვამდა.



ქართველთა დიდზე დიდ ნაწილს რომ შეჰყარეს სალათას ძილის სინდრომი, უფრო სწორად, ტვინი გამოურეცხეს, ეს აშკარა და საკამათო არ უნდა იყოს. მხოლოდ მცირედნი აცნობიერებს, თუ რა გვჭირს და რა დღეში ვართ. ოღონდაც ამ მცირეთაგან უმეტესობას სიფრთხილისა თუ შიშის გამო თავი შორს უჭირავს, პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არისო, აცხადებენ. იმედად ოპოზიციაღა გვრჩება. ოპოზიცია, რომელიც თავგამოდებით ებრძვის არსებულ უსამართლობას, უგვანო ხელისუფლების განდევნა სურს და მისი ადგილის დაკავება სწადია. ამგვარი მიზანსწრაფვა საძრახი არ არის. ოღონდაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უმთავრესი მიზანი მაინც არის არა ხელისუფლების ხელში ჩაგდება, არამედ იმ სისტემის მსხვრევა, ასე ულვთოდ რომ აჩანაგებს საქართველოს და ქართველ ხალხს. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სპექტაკლის საზოგადოების გამოფხიზლება, ვირტუალური სამყაროდან გამოყვანა, წარმოსახვითი, საოცნებო ზეციდან მიწაზე დაშვება და მისთვის ნებელობის და კრიტიკული აზროვნების დაბრუნება. ამის შესრულება არ გახლავთ იოლი. მით უმეტეს, როცა ამ გზას არც ადგას დღევანდელი ოპოზიცია. მეტიც, ეს უკანასკნელნი, თავადაც სიამოვნებით ერთვებიან მიმდინარე პოლიტიკურ სპექტაკლებში, ცდილობენ მოირგონ ერისთვის თავგადადებული გმირის ნიღაბი და, ამგვარად, მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგს. აი, ასეთ ვითარებაში, როცა პოზიციაც და ოპოზიციაც მთლიანად ჩართულია პოლიტიკურ სპექტაკლებში და მათ შორის, შეიძლება ითქვას, მოჩვენებითი ბრძოლის სცენებია გამართული, ხოლო მოტივაცია ამ სპექტაკლისა ოდენ სავარძელია, დიდად ზარალდება ხალხი, კიდევ უფრო ეჩნევა გონება და კარგავს ორიენტაციის უნარს. აი, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ქართველი ხალხის დიდზე დიდი ნაწილი ვერ არჩევს თეთრსა და შავს, ერისშვილს და ვირიშვილს. იგი იძულებულია ხელების ცეცებით გაიკვლიოს გზა უკუნეთში...

ახლა მოკლედ შევეხოთ ოპოზიციონერთა მიერ დადგმულ სპექტაკლებსაც. გავიხსენოთ თუნდაც ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის სცენარით იმართებოდა. მავანი შემომედავება, მიტინგი ბრძოლის აღიარებული ფორმააო. კი ბატონო, მაგრამ მიტინგები მიზნით და შედეგით ფასდება: თუ მიტინგი მხოლოდ მოზღვავებული შემართების მისანავლებლად, ორთქლის გამოსაშვებად არის გამიზნული და შედეგის თვალსაზრისით არაფერი მოაქვს, მაშინ ის არის სწორედ პოლიტიკური სპექტაკლის კარგად მოფიქრებული სცენა, რომელიც კი არ არყევს არსებული ხელისუფლების ტახტს, არამედ გარკვეული თვალსაზრისით ამყარებს კიდეც მას. იმავდროულად, იგი ამბოხებულ მომიტინგეებს ერთგვარად ამშვიდებს და პესიმისტური განწყობა შეაქვს მასაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია თბილისში გამართული ორას და სამასათასიანი მიტინგები, რომლებმაც თავსატეხი გაუჩინა თავად მის ორგანიზატორებს. აღარ იცოდნენ, რა ექნათ? სად წაეყვანათ, როგორ დაეშალათ დიდძალი ხალხი?! თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა მ.სააკაშვილთან და მისი სურვილით დაშალეს ჰიპოდრომზე ცხენებივით შეყრილი სამას ათასზე მეტი ადამიანი, ძალაუნებურად გვიჩნდება აზრი შეგნებული ღალატის თაობაზე. მეტიც, ეს არის ცივი შხაპის, „მომწამლავი" გაზის ტოლფასი.

რომელი ერთი გავიხსენოთ? ავიღოთ თუნდაც გაერთიანებული ეროვნული საბჭოს მანიფესტის ზარზეიმით წარმოდგენა წიწამურის ხიდის ფონზე. ამ სცენის სიყალბე ის გახლდათ, რომ ამ მანიფესტში ილიასეული ეროვნული შემართების ერთი ნაპერწკალიც არ ბჟუტავდა. მეტიც, ამ მანიფესტში სულ ორჯერ, ისიც შეუფერებელ კონტექსტში ნახსენები იყო სიტყვა „ეროვნული". მანიფესტის ავტორებს ილიას კარ-მიდამოს ფონი დასჭირდათ მხოლოდ ხალხის გასაბრიყვებლად, რათა მათთვის შეექმნათ ილუზია, ვითომც და ისინი მტკიცედ მისდევდნენ ილიას გზას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ „ჩვენმა ოპოზიციამ" მრავალი ცრუ დაპირებით ისახელა თავი: განაცხადეს, არჩევნებს არ გავაყალბებინებთო. გააყალბებინეს! მიშა გადავაყენეთო — ნაცარს აყრიდნენ თვალში ხალხს. არადა, მიშა „უცხოელი მეგობრების" რჩევით გადადგა და კიდევ უფრო გაიხანგრძლივა „პრეზიდენტობის" ვადა. გვარწმუნებდნენ, ინაუგურაციას არ ჩავატარებინებთო, ჩაატარებინეს და მერე როგორ?! იჩემებდნენ, ახლადარჩეულ პარლამენტარებს შენობაში არ შევუშვებთო, შეუშვეს! ტრაბახობდნენ, ხალხის დარბევას არ შევარჩენთო. შეარჩინეს! გაჰყვიროდნენ, მიშა, თუ ბიჭი ხარ, დაგვიდექი, მოვდივართო! სათოფეზე ვერ მიეკარნენ! უვადო შიმშილობა დავიწყეთო, ამაყობდნენ, სიკვდილამდე არ შევწყვეტთო. შეწყვიტეს! და მისთანანი და მისთ... ერთი სიტყვით, ყველა მათი დაპირება და მუქარა, წყლის ნაყვა და ქარის დევნა აღმოჩნდა. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ოპოზიცია თავის ბრძოლაში ზედმიწევნითი სიზუსტით იმეორებდა „ნაცების" სცენებს, მაგრამ უადგილოდ და უნიჭოდ. უნდა ვაღიაროთ, რომ ის ბრძოლა (არა აქვს მნიშვნელობა ძალით, ვერაგობით თუ თაღლითობით) მიშამ პირწმინდად მოუგო ოპოზიციას.

პოლიტიკური სპექტაკლი დღესაც გრძელდება. რაც მ. სააკაშვილმა დამართა საქართველოს, დედამიწაზე უთავმოყვარეო და ღირსებაახდილი ხალხის გარდა არავინ მოითმენდა. სამწუხაროდ, დღეს უფრო მეტად დაგვრია ხელი მთვლემარებამ. ხალხს რომ ძილქუში შეეყარა, ცხადია, ხელს აძლევს ხელისუფლებას, მაგრამ ოპოზიცია რას იქმს ამ დროს! ჰაიჰაი, რომ ისიც ჩართულია პოლიტიკური სპექტაკლების სცენურ თამაშში და გამოფხიზლების ნაცვლად, კიდევ უფრო აბრუებს და ტვინს ურევს ხალხს, წინ წამოწევს სპექტაკლის ემოციური ზემოქმედების ელემენტს და მოჩვენებით ბრძოლის ილუზიას უქნის.

აი, თუნდაც სულ ახლახან მათი წარმოდგენილი სამი მოთხოვნა, რომელთაგან ერთი უმთავრესი იყო — სააკაშვილის გადადგომის შესახებ. ეს მოთხოვნა არახალია, ძველია. მას ადრეც აყენებდა ოპოზიცია, მაგრამ ახლა იგი თეატრალურ გარემოში წარმოაჩინეს: დადგეს სცენა, სადაც დიდ დაფაზე ლამაზად იყო ამოტვიფრული ბრძოლის ეს თეზისი, მერე სხვადასხვა პარტიების ლიდერები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ამაყად მიდიოდნენ და ისეთი იერით აწერდნენ ხელს, გეგონებოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აფორმებდნენ. ყველამ კარგად უწყის და, მათ შორის, ოპოზიციამ, რომ ამ ხელმოწერებით მიშა არ გადადგება და გულში ეცინება კიდეც. მაშ, რაღა საჭიროა ამის გარშემო აურზაურის ატეხვა?!

**ელიზბარ ჯაველიძე.**

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 40.

ენერგოუსაფრთხოება

# იტყვიან ევროპელები უარს „კრემლის გაზის ურდულის“ მძევლობაზე?

## ანუ გაზსადენ NABUCCO-ს ბუნდოვანი მომავალი

**რუსეთისა და უკრაინას შორის წლევანდელმა გაზის ომმა, რომლის შედეგად ზამთარში ლამის ნახევარი ევროპა გაიყინა თავის სახლებში, მომავალში შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს საბადოებიდან მომხმარებლებამდე ამ ენერგოშემცველის ტრანსპორტირების მარშრუტები.**

წლევანდელმა რუსეთ-უკრაინის კინკლაობამ, გარდა იმისა, რომ ხალხი გაყინა, მთელ ევროპაში საგრძნობი ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია. ამან კი, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა ახალი იმპულსი მისცეს Nabucco-ს, ალტერნატიული, სამხრეთული მიმართულების მილსადენის პროექტის ფრთაშესხმას.

გაზეთ The Christian Science Monitor-ის აზრით, **გაზსადენ Nabucco-ს გაყვანის სტრატეგიული მიზანია, ბოლო მოუღოს ევროკავშირის ქვეყნების დამოკიდებულებას რუსეთიდან გაზის მიწოდებაზე.** ამასთან, ექსპერტები მიუთითებენ მთელ რიგ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ამ 12 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელების გზაზე შეიძლება წარმოიშვას, თუმცა ხაზს უსვამენ იმასაც, რომ **ბოლო დროს Nabucco ევროკავშირის ქვეყნების მიერ ერთიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისკენ სწრაფვის თავისებურ სიმბოლოდ გადაიქცა.** აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ თუკი აღნიშნული პროექტი განხორციელდება და საქართველოს ტერიტორიაზეც გაივლის, ეს ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს.

**— რამდენად რეალურია დღევანდელი გადასახედიდან Nabucco-ს პროექტის ფრთაშესხმა? — ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილეს მარიამ ვალიშვილს.**

— მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპას, ბოლოს და ბოლოს, კარგად გაათავისებინა, რომ საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ენერგოშემცველის მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე, ერთი ქვეყნის ნება-სურვილზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, — თქვა ქალბატონმა მარიამ ვალიშვილმა. — ასე ხშირად ხდება: გარკვეული ფორსმაჟორული ვითარება, როგორიც ამ შემთხვევაში ეკონომიკური კრიზისია და მის ფონზე რუსეთ-უკრაინის „გაზური საქმის გარჩევაა“, ადამიანებს პრიორიტეტების გადაფასების აუცილებლობას უკარნახებს. ასე მოხდა Nabucco-სთან მიმართებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ **პროექტი ამჟამადაც იმავე ფორმატით განიხილება, როგორც ეს ჯერ კიდევ 2002 წლიდან მოყოლებული ხდებოდა,** მას შემდეგ კი, რაც ენერგოუსაფრთხოების ფასი განუზომლად გაიზარდა, მისი განხორციელება კვლავ დღის წესრიგში დადგა.

მინისტრის პირველი მოადგილის თქმით, Nabucco-ს მხარდაჭერის შეხვედრები საკმაოდ მაღალ დონეზე იმართება, ხოლო ბოლო ასეთი სამიტი ბუდაპეშტში შედგა, სადაც საქართველოს დელეგაციას ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი ნიკა გილაური ხელმძღვანელობდა.

არსებული წინასწარი პროექტით, Nabucco-ს მარშრუტი თურქეთიდან, რუმინეთისა და ბულგარეთის გავლით ავსტრიამდე, ხოლო მისი სამხრეთ განშტოება საბერძნეთამდე მიდის. მაგრამ, თურქეთი, თავისი რესურსით ამხელა გაზსადენს ვერ დატვირთავს, ამიტომაც ავტომატურად განიხილება აღმოსავლეთის მიმართულებით გაგრძელების ორი მარშრუტი: ერთია ირანისა — თავისი გაზის უზარმაზარი წყაროთი, ხოლო **მეორეა შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რესურსზე მიბმული საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ფაქტობრივად, პარალელური მიმართულება.** ეს კი ნიშნავს, რომ Nabucco-ს პროექტში შესაძლოა ორი მკვებავი შტო იყოს ჩართული.

— აქედან გამომდინარე, საქართველო საკითხი Nabucco-ს პროექტის ფორმატში მთლად „ჩამჯდარი“ არ არის, — განაგრძობს მინისტრის მოადგილე, — მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იმ უპირატესობას, რომელსაც ქვეყანას უკვე შემდგარი, სტაბილურად მოქმედი სატრანზიტო დერეფნის სახე ანიჭებს, ეს მეტად წონადი არგუმენტია ჩვენს სასარგებლოდ. ამას, რომ იტყვიან, ორივე ხელით უნდა ჩავეჭიდოთ, ვინაიდან **თუკი Nabucco საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, მაშინ, უწინარესად, გაზის მიღების კიდევ ერთი წყარო გვექნება, რაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას გაამყარებს, თანაც მილსადენის ამ მარშრუტით გავლის შემთხვევაში, ეს, მართალია არაპირდაპირი, მარამ მაინც ინვესტიცია იქნება ქვეყნის ეკონომიკაში, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნით მიღებული შემოსავლით და სხვ. გამოიხატება.**

ამიტომაც არის, რომ **ჩვენ ყველა დონის შეხვედრებისას ვაცხადებთ, რომ სურვილი გვაქვს Nabucco-ს პროექტის თანამონაწილენი ვიყოთ**. თანაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ Nabucco-ს პროექტში მონაწილე კომპანიები, რომლებიც მის განმხორციელებლებად ითვლებიან, ასევე სამხრეთის ნაკადის პროექტშიც მონაწილეობენ და თუკი ამ უკანასკნელის შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაციაზე, Nabucco-ს ფრთაშესხმისას მოხდება მთლიანად მილსადენის ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაცია.

ქალბატონმა მარიამ ვალიშვილმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მართალია ევროპელებს მიაჩნიათ, რომ Nabucco-ს მილსადენი ერთობ ძვირადღირებული „სიამოვნებაა“, მაგრამ ასევე კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, რომ ეს ის ფასია, რომელიც ევროპამ საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა გადაიხადოს. ამასთან, ჩვენი აზრით, საგულისხმოა Nabucco-ს მსგავსი პროექტის განხორციელების სქემა: ჯერ გამოიხატება თანამონაწილე მხარეების ნება, ხოლო შემდეგ გაიწერება ეტაპობრივი სამოქმედო გეგმა. თუკი აქამდე ეს ნება ნაკლებად არსებობდა, Nabucco-ს კონსორციუმში მონაწილე გაზის სახელმწიფო კომპანიები ვერ ასაბუთებდნენ პროექტის სიცოცხლისუნარიანობას ანუ ალტერნატივებთან შედარებით მომგებიანობის ხარისხს, რის შედეგად მის მიმართ უფრო მეტი ბუნდოვანება იყო, ვიდრე დადებითი მომენტები, ამჟამად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენერგოუსაფრთხოებისადმი მიდგომის კრიტერიუმები იმდენად შეიცვალა, რომ ევროპელთათვის სავსებით ნათელი გახდა: **„კრემლის გაზის ურდულის“ მძევლებად ყოფნას ისევ დიდი ფულის გადახდა სჯობს.** ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2020 წლისთვის, როცა Nabucco შესაძლოა ამოქმედდეს, ევროკავშირის ქვეყნები იმ ოდენობის გაზს მოიხმარენ, რომ რუსეთის რესურსსაც აითვისებენ და შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისაც. **ეს, უბრალოდ, გაცილებით უფრო მოქნილი სისტემა იქნება, რომელიც ენერგოუსაფრთხოების მხრივ ევროპელთათვის რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.**

— 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, რომელმაც Nabucco -ს მილსადენში ყოველწლიურად უნდა გაიაროს, ევროპისთვის, თავისთავად, ბევრი არაფერია, მაგრამ კონტინენტის აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნისთვის ენერგოშემცველის ამ ოდენობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მილსადენის ამოქმედების შედეგად ბუნებრივ გაზზე მათი მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდება, — აღნიშნა ქალბატონმა მარიამ ვალიშვილმა. — Nabucco-ს კიდევ ერთი მომენტი ის არის, რომ **ეს იქნება პირველი პილოტური პროექტი, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების ალტერნატივა იქნება**. ყველაფერი იმის კომპლექსი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, კერძოდ, გაზის წყაროების, ტრასის მარშრუტის, მრავალი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ხარისხის ამაღლებისთვის მისი მნიშვნელობის თაობაზე და სხვ., Nabucco-ს მეტად მნიშვნელოვან პროექტად აქცევს.

ამჟამად Nabucco-ს მხოლოდ ზოგადი მონახაზი არსებობს, კონსორციუმის მონაწილეთა შორის კი ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს. მათ შორის ყველაზე „წონადი“ სიტყვა, ბუნებრივია, გაზის მიმწოდებელ, ხოლო შემდეგ კი ტრანზიტულ ქვეყნებს ეკუთვნით. მთავარი მაინც ის არის, რომ ყველა დონის შეხვედრაზე, სადაც კი ევროპელები ენერგოუსაფრთხოების საკითხს განიხილავენ, **ხაზს უსვამენ იმას, რომ Nabucco-ს პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს, ჯერჯერობით კი ის მხოლოდ კეთილი ნების გამოხატვისა და მოსამზადებელი ეტაპის კომბინირებულ ფაზაშია.**

თუმცა, როგორც მეტად სოლიდური გაზეთი Financial Times კორესპონდენტი ბორატ გრემიკი აღნიშნავს, **ბოლო დროს ევროკავშირი Nabucco-ს რეალიზაციის გზაზე ორ წინააღმდეგობას გადააწყდა: ესაა თურქეთთან ურთიერთობა და ბალკანეთში გაზპრომის მოქმედებები.** ევროკავშირ-თურქეთის ურთიერთობები, რომელიც დიდი ხანია გაერთიანებულ ევროპაში გაწევრებას უშედეგოდ ცდილობს, საკმაოდ დაძაბულია, ამდენად თურქეთს არ სურს უბრალოდ ტრანზიტული ტერიტორია გახდეს: **ანკარას ურჩევნია თვითონ გადაიქცეს ენერგეტიკულ კვანძად — კასპიისპირა ქვეყნებში გაზი თვითონ შეიძინოს და ევროპაში მაღალ ფასად თავადვე გაყიდოს.**

ჟურნალისტი ასევე აღნიშნავს, რომ **ევროკავშირისთვის აზერბაიჯანისა და შუა და ცენტრალური აზიის რესურსებზე გასვლის სხვა გზაც არსებობს, რომელიც საქართველოზე გავლით შავი ზღვის ფსკერზე გადებული მილსადენით რუმინეთს მიაღწევს, მაგრამ ამ შემთხვევაში მან ძალიან ახლოს უნდა გაიაროს აფხაზეთის ტერიტრიასთან, რაც, ცნობილ მიზეზთა გამო, ეჭვს ბადებს.**

ამასთან, გაზპრომი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე შეტევას განაგრძობს: მხოლოდ სერბეთის ნავთობისა და გაზის კომპანიის NIS-ის ყიდვა მისცემს რუსეთულ მონოპოლიას მილსადენების ძველი ბალკანური გაზის ქსელების დაპატრონების შესაძლებლობას, რომლის შევსება რუსეთს ევროპულზე დაბალი ფასით შეეძლება.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კი, ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტის დასკვნაა: **თუკი ევროკავშირი არ იჩქარებს ამ მიმართულებით (ე. ი. Nabucco-ს პროექტის რეალიზაციის მხრივ — ო.ტ.) გაბედული ნაბიჯების გადადგმას, მერე, შესაძლოა, გვიანი იყოს, ვინაიდან ევროპელებს მოუწევთ იმასთან შეგუება, რომ რუსეთი ევროპაში ენერგოშემცველთა ერთადერთი მიმწოდებელი იქნება.**

ოთარ ტურაბელიძე



უიმედო პერსპექტივა

# რამდენი რამ გიჭირს, სოფელო!

### მაშინ ქალაქსაც ძალიან გაუჭირდება და მთლიანად ქვეყანასაც

**ჩვენს ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის თითქმის 48 პროცენტი ცხოვრობს, მაგრამ ექსპერტთა მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) დღითი დღე მცირდება.**

2008 წლისთვის ეს მონაცემი 10 პროცენტს არ აღემატება, რაც ნიშნავს, რომ იმპორტს ექსპორტთან შედარებით ქვეყნის ეკონომიკაში კვლავ დიდი ადგილი უკავია, ნაკლებად ვითარდება ადგილობრივი წარმოება, რის გამოც არ იქმნება სამუშაო ადგილები. შედეგი? კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ლობიო, წიწაკა, ვაშლი, ლიმონი, ფორთოხალი და კომშიც კი უცხოეთიდან შემოდის.

თუ სტატისტიკის დეპარტამენტის ძველ მონაცემებს ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ 2003 წელს მშპ-ს სოფლის მეურნეობის წილი 18 პროცენტი იყო, 2004-ში — 16, 2005 წელს — 14 პროცენტი, დღეისთვის 10 პროცენტია, მომავალ წელს შეიძლება 0 პროცენტიც იყოს. აი, სადამდე მიგვიყვანა აგრარულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში არაპროტექციონისტულმა მიდგომამ.

ხელისუფლება ბოლოს ალბათ კი მიხვდა, რომ სოფლის აუშენებლად, ქალაქი და, მით უმეტეს, ქვეყანა ვერ აშენდება, მდგომარეობის გამოსასწორებლად 20 მილიონი ლარიც გამოყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, სოფელს ხელისუფლებისა აღარ ეიმედება. მით უფრო, რომ სოფლის ერთიანი განვითარების პოლიტიკურ-აგრარული კონცეფცია ჯერაც არ ჩამოუყალიბებიათ.

### მიწა დაუმუშავებელი რჩება, ხალხი – მშიერი!

**მარცვლოვანი კულტურების (ხორბალი, ქვავი, ქერი) ნათესი ფართობების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2002 წელს ეს კულტურები დათესილი იყო 158.4 ათას ჰექტარზე, 2007 წელს კი — 55 ათასზე.**

წლევანდელი პროგნოზით ნახევარზე მეტი ფართობი დაუმუშავებელი დარჩება... გაძვირებული საწვავის შეძენა გლეხებს უჭირთ.

— გვარჯილა კარგია, მაგრამ საწვავი რომ არ გვაქვს? — ჩივიან გლეხები.

ჩვენთან ხომ ასეთი წესია „დადგენილი“ — როცა ხვნა-თესვა იწყება და საწვავი ძალზე სჭირდებათ, იგი უფრო ძვირდება ხოლმე.

ასეთ დროს კარგად აწყობილ ქვეყანაში სწორედ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ფერმერებს, გლეხებს. საზღვარგარეთ ასე ხდება კიდეც, მაგრამ ეს ჩვენს ხელისუფლებას არ ეხება.

ნაზი იმნაიშვილი

◉ ნამუსიც კარგი საქონელია!

# ხელისუფლებას ქვეყანასთან ერთად ინვესტიციების შემოეჭამა

## ნოღაიდელმა პრეზიდენტს ლაჩარი და მოღალატე უწოდა

**შემოჭმაზე გამახსენდა. კაიხნის ამბავია, იმდროინდელი, კომუნისტური საბჭოეთი ფაშისტურ გერმანიას რომ ეომებოდა, შიმშილით გვრემა მაშინაც გვარიანად აწუხებდა ხალხს და ახლაც. ჰოდა, ერთმა იყალთოელმა გლეხმა, თელავის ბაზარში გაყიდული ატმის ჩირის საფასურით, „ერთი ბუხანკა“ პური იყიდა, იღლიაში ამოიჩარა და შინისკენ მიმავალ გზას გაუყვა. მიდიოდა დანაღვლიანებული, ათას საწუხარზე ჩაფიქრებული, პური თითქოს აღარც ახსოვდა, მაგრამ ხელი მისი ნების დაუკითხავად, ავტომატურად მუშაობდა, „ბუხანკას“ წარამარა „ჩქმეტავდა“ და „ნაჩქმეტს“ პირისკენ ერეკებოდა. ამასობაში სოფელსაც მიუახლოვდა, იფიქრა, ცოლ-შვილს დავაპურებო, ხელი იღლიისკენ წაიღო, მაგრამ რასაც ეძებდა, იქ აღარ დახვდა...**

– ვაი, პური, სად არი ჩემი პური, ძმაო, – იყვირა გაოგნებულმა გლეხმა, მაგრამ რას ეძებ, რა დაგიკარგავს, არც სტომაქში მოყუჩებულ პურს ამოუღია ხმა და არც ვინმე შემხვედრ თანასოფლელს. ყველა უთქმელად მიხვდა სათქმელს – დამშეულ გლეხს პური გზაში შემოეჭამა.

ვიცი, იმ იყალთოელი გლეხისა და საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების შედარება-შეპირწონება დიდად ლოგიკური არ იქნება, მაგრამ ორივეს აქვს რაღაც საერთო – იმას ოჯახში მისატანი პური შემოეჭამა, ამათ – სამართავად და საპატრონოდ ჩაბარებული ქვეყანა. თანაც ორივენი დამშეულები იყვნენ, მეტადრე ეს ჩვენი დემოკრატიული სამოთხიდან მოფრენილი ნაციონალები, რომლებიც შევარდნაძემ თავის ხელმწიფობის წლებში იმდენად დაამშია, რომ საქართველოში მარტო მიწა, ტყე, წყალი და საბადო კი არა, რიყეში ქვაც აღარ დატოვეს წამოუკრეფგაუყიდავი და გადაუსანსლავი.

სანსვლა, იცოცხლე, მაგრად ეხერხებათ, აი მუშაობა კი, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, ესიკვდილებათ. აუჩემებიათ, ინვესტიციების მოზიდვაზე ვმუშაობთ, იმ ქვეყნიდან 500 მილიონს ველოდებით, ამ ქვეყნიდან – 700 მილიონს, აი ნახავთ, შემოვლენ უცხოელი ბიზნესმენები, დააბანდებენ თანხებს ქარხნებში, ფაბრიკებში, იყიდიან მიწებს, ტყეს, წყალს, შექმნიან ათეულ ათასობით სამუშაო ადგილს და ერთბაშად აგვაშენ-დაგვამშვენებენო. ჯერ ერთი, ვინც იყო შემოსული, აგვისტოს ომმა დააფრთხო, აკრიფეს გუდა-ნაბადი და წავიდნენ, და მეორეც, როცა იყვნენ, მაშინ რა ოქროს კოშკებსა გვწიეს? სტატისტიკა, რომელსაც ხელისუფლება გვაჩეჩებდა და გვეუზნებოდა, ამდენი და ამდენი ინვესტიცია შემოვიდა და გავიდაო, საპნის ბუშტივით გასკდა. აბა, თუ არ გასკდა, გვაჩვენონ, რეალურად რა გაკეთდა?

ისიც საკითხავია, არის კი ის ნამდვილად ინვესტიცია, რაც ჩვენს ხელისუფლებას ინვესტიციად ელანდება? სპეციალისტთა განმარტებით, მიწის გაყიდვით აღებული თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციად, რადგან მისით არაფერი შექმნილა. ინვესტიციამ უნდა გაიაროს წარმოების და რეალიზაციის ეტაპები, შექმნას დამატებითი ღირებულება, მანამდე კი – სამუშაო ადგილები. ყველას გვახსოვს, როგორ გვეტრაბახებოდნენ ხელისუფლების პირველი პირები, ქვეყანაში საინვესტიციო ბუმიაო(!ძ. თუ ეს სიმართლეა და ქვეყანა ინვესტიციების წყალობით შავი დღედალივით გაკეთდა, მაშ რისთვის დასჭირდა მთავრობას ჯერ 50-დღიანი, შემდეგ კი 50-თვიანი პროგრამის შექმნა, რომელიც საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის აღმოფხვრას ისახავს მიზნად? პასუხი არც ამაზე აქვთ, ესეც საპნის ბუშტია და იმიტომ.

ქვეყანა რომ მიხვდა, ხელისუფლებაში რა „სოფლის მშენებლებიც“ არიან, ახლა „სიმღერის მოტივი“ შეცვალეს და ამბობენ: რადგან მსოფლიო კრიზისმა „შეანელა“ საქართველოში ინვესტორების შემოსვლა, თვითონ სახელმწიფო გახდება ინვესტორი, თანხებსაც გამოყოფს და საქმესაც წაუძღვებაო. შემუშავებულია პროგრამა, რომელიც ძირითადად, მაღალგანვითარებული ქვეყნების დარად, საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ახალი გზების მშენებლობას და მასში მრავალი ათასი ადამიანის დასაქმებას ითვალისწინებს. ხელისუფლებას ავიწყდება, რომ საქართველო, სადაც მოსახლეობის 20 პროცენტი ფაქტობრივად შიმშილობს, ვერ გაუტოლდება ევროპას, რომელსაც დიდ სიმდიდრესთან ერთად აქვს მაღალი ტექნოლოგიები და წარმატებული სოციალური გარემო. ამაზე მოსწრებულად შენიშნა ეკონომიკის ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა: „როგორც აკვნის ბავშვის და ბენდუქიძის რაციონს ვერ შეადარებ ერთმანეთს, ასევე არ შეიძლება საქართველოსა და გერმანიის ან ინგლისის ბიუჯეტების სტრუქტურათა შედარებაო“.

ქვეყანას კარგი გზები რომ უნდა ჰქონდეს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ თუ ხალხი მშიერი გყავს, ხელისუფლებამ უპირველესად მის დასაქმებასა და დაპურებაზე რომ უნდა იზრუნოს, ესეც ცნობილი ჭეშმარიტებაა. ისიც საკითხავია, სადაც გზები მიყვანილია და საწარმოებიც აშენებული, იქ როგორღა გვაქვს საქმე, ჩარხები დღედაღამ გუგუნებს და მუშები ოფლის მორევში ცურავენ? მაგალითის საძებნელად შორს წასვლა არ დაგვჭირდება, აგერ, დედაქალაქიდან ორ ნაბიჯზე, ქვეყნის ეკონომიკის ბურჯ საწარმოს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს, მეორე ათეული წელია, ჩუმი სიკვდილით ხდიან სულს, მაგრამ ვითომც აქ არაფერიო, ხელისუფლებაში საიქაოდ თვალიც დაბრმავებული აქვთ და ენაც დამუნჯებული. მისი ერთადერთი „პატრონი და მზრუნველი“ ჩვენთვის კარგად ცნობილი ბიზნესმენი ჯოზეფ ქეია, რომელმაც დიდი ჯაფისა და ინვესტირების ფასად იმას მიაღწია, რომ მილების წარმოებით სახელგანთქმული საწარმო-გიგანტი არმატურის მწარმოებელ საამქროდ აქცია.

ჯოზეფ ქეი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბოლო ინვესტორი და მეპატრონეა, თუმცა საწარმომ მანამდე ბევრი ინვესტორი და დირექტორი გამოიცვალა, მაგრამ ხეირი ვერავის ხელში ვერ ნახა. არადა მთავრობიდან სულ იმის „ბოლებაში“ იყვნენ, ქარხნის რეაბილიტაციას მილიონობით დოლარი ინვესტიციები ხმარდება და მალე ისეთი სიმძლავრით ამუშავდება, ხმაურისგან მეზობელ ქვეყნებში ძილი აღარ ექნებათო.





სინამდვილეში რა შეგვრჩა ხელთ ამ ინვესტიციებიდან? ქვეყანას არაფერი, აი იმათ კი, ვისაც ინვესტიციები უნდა ჩაედო, ფაქტობრივად ქარხანა ჯართად დაჭრეს, საზღვარგარეთ გაიტანეს და ჯიბეები ხვლიკისფერი დოლარებით გამოიტენეს. მათი წყალობით საქართველო მსოფლიოში უპირველეს ჯართის ექსპორტიორ ქვეყნად იქცა, რაშიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ლომის წილი მიუძღვის(!?ძ.

ხელისუფლების „წარმატებული“ საინვესტიციო პოლიტიკის დასახასიათებლად, ალბათ, ზემოთ ნათქვამიც საკმარისი იქნებოდა, ამ დღეებში პრემიერყოფილ ზურაბ ნოღაიდელს თავის სატელევიზიო გამოსვლაში ამ პოლიტიკის შედეგი „ახალი მარგალიტებით“ რომ არ გაემდიდრებინა. ლაპარაკია ფოთის პორტის გასხვისებაზე და იქ არაბი ინვესტორის შესვლაზე, რომლის მონაცემები თავის დროზე ნოღაიდელს არ მოეწონა და დაეჭვებულმა ახსნა-განმარტებისთვის პრეზიდენტ სააკაშვილს მიმართა. რატომ შევარჩიეთ ინვესტორად მაინცდამაინც ეს კომპანია და არა მეორე, რომელიც გაცილებით მეტ ფულს იძლევა და უკეთეს პირობებს გვთავაზობსო? – უკითხავს მაშინდელ პრემიერს პრეზიდენტისთვის. იმიტომ, რომ ჩვენთვის ეს უფრო სანდო პარტნიორიაო, – უპასუხია სააკაშვილს.

მაშინ კი დავიჯერე პრეზიდენტის ნათქვამი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ იმ „პარტნიორობაში“ პირადად პრეზიდენტს და მასთან დაძმობილებული მსხვილი სახელმწიფო მოხელეების წილში ჯდომა იგულისხმებოდაო, – ამბობს დღეს უკვე ყურეგამოზერტყილი ნოღაიდელი და ახლა იმაშიც ეჭვი ეპარება, რომ იმ ორი მილიარდი დოლარიდან, რომელიც ვითომ ქართული ჯარის წვრთნას და შეიარაღებას მოხმარდა, საკმაოდ დიდი ნაწილი ამავე მოხელეების და პრეზიდენტის ჯიბეში არ მოხვდა(!?ძ. გაკვირვებული ვარო, სააკაშვილმა, რომელიც სამშობლოზე მზეს ფიცულობდა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სიცოცხლეს არ იშურებდა, ასეთი სულმდაბლობა როგორ ჩაიდინაო. ამით განაწყენებულმა პრემიერყოფილმა არც აცია, არც აცხელა და პრეზიდენტს, რომელმაც მისი აზრით, ფულიც შეჭამა და ტერიტორიებიც დაკარგა, ეთერში მთელი ქვეყნის გასაგონად ლაჩარი და მოღალატე უწოდა.

ამ შეფასებას მე ვერაფერს დავამატებ, ერთს კი ვიტყვი, რომ ზურაბ ნოღაიდელი, რომელსაც სურს თავი კრავად მოგვაჩვენოს, თავის დროზე, ფინანსთა მინისტრობისა და პრემიერობის წლებში, არც თავად დააყარა ხეირი ქვეყნის ეკონომიკას. ამჯერად კი, როგორც იტყვიან, იმ ჭაში ჩააფურთხა, საიდანაც ახლო წარსულში წყალს თვითონაც სვამდა!

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილს, აინუნშიც არ აგდებს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, კვლავ ქვეყნის პირველ პატრიოტად და გადამრჩენლად მოაქვს თავი და დღესაც აგრძელებს გარე-გარე სირბილს ვითომდა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ამ ორიოდე დღის წინათაც ვიხილეთ ესპანეთში ჩასული პრეზიდენტი, რომელმაც იქაურ ინვესტორებთან „მძიმე და დამქანცველი“ შეხვედრების შემდეგ, ჩვენთვის გული რომ არ ეტკინა, დრო მაინც გამონახა, საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ეწვია და ბურთის კენწვლით გაგვახალისა. ამით ერთგვარად გააქარწყლა „ლეიბორისტთა“ ბრალდება – სააკაშვილი წარამარა ესპანეთში იმიტომ დარბის, რომ ფეშენებელურ აგარაკზე ისვენებს და სასტუმროში ერთი ღამის გათევაში 30 ათას დოლარს იხდისო.

ილაპარაკონ რაც უნდათ და აბრალონ რამდენიც უნდათ. **ოპოზიცია ყბედობს, პრეზიდენტი კი ქვეყნის საქმეებს აკეთებს და რამდენიც უნდა უკიჟინონ, საკონსტიტუციო ვადის გასვლამდე, როგორც თვითონ აცხადებს, ტახტიდან ფეხსაც ვერ მოაცვლევინებენ. აბა როგორ, მტერს ხომ არ გაახარებს.**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 22 წლის, 2008 წელს ფრიადებზე დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დიდი სურვილი მაქვს, გავხდე სახელმწიფო მოხელე. იქნებ ამიხსნათ, ვინ შეიძლება იქნეს მიღებული საჯარო მოხელედ?**

**ნატო ციცინაშვილი.**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებული იქნეს საქართველოს ქმედითუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

* * *

**კითხვა: ჩემი მეუღლე რეპრესირებული და შემდგომში რეაბილიტირებული პირის შვილია, იღებს პენსიას მამის გარდაცვალების შემდეგ თვეში 55 ლარის ოდენობით. იშოვა სამუშაო სახელმწიფო დაწესებულებაში. ხომ მიეცემა პენსია მუშაობის პერიოდში?**

**დათო ხაჩიძე.**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ მიეცემა. 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საპენსიო კანონი რეპრესირებულებს ან მათ შრომისუნარიან შვილებს აღარ აძლევთ მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლებას, თუ ისინი ისეთ დაწესებულებაში იმუშავებენ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

* * *

**კითხვა: ვარ 65 წლის, დანიშნული მაქვს პენსია. თვეში 80 ლარის ოდენობით. მოვყევი საავტომობილო კატასტროფაში, რის შედეგადაც 1 თვეა, სამედიცინო კომისიამ მცნო 1-ლი ჯგუფის ინვალიდად. გთხოვ, განმიმარტოთ, ასაკის პენსიასთან ერთად მომეცემა ინვალიდობის პენსიაც?**

**გურამ ხომასურიძე.**

**პასუხი:** არ მოგეცემათ. ვინაიდან ერთდროულად 2 სახის პენსიის დანიშვნას მოქმედი საპენსიო კანონი არ ითვალისწინებს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-2 სართულზე 840 კვ.მ-ზე. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ-ზე შეადგენს 4 (ოთხ) ლარს პლიუს დღგ და კომუნალური გადასახადები.**

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 18 მარტს 12 საათზე ჯიქიას ქ. №10-ში. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 17 მარტი 2009 წ. საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.

საწარმოს დირექცია

◎ შორეული — ახლობელი

# როგორ შეეწია ნადია გოცირიძეს ამერიკაში ჩაბრძანებული პატრიარქის ლოცვა

## ვინ დაეხმარა „ნოვა საიენს ფაბლიშერს“ „ოცნების“ ასრულებაში

**რედაქციაში ნიუ-იორკის გამომცემლობა „ნოვა საიენს ფაბლიშერის“ დამფუძნებელი და მესაკუთრე ფრენკ კოლუმბუსი, მისი მეუღლე, გამომცემლობის ვიცე-პრეზიდენტი ნადია გოცირიძე და „ნოვა საიენს ფაბლიშერის“ წარმომადგენელი საქართველოში სერგო გოცირიძე გვესტუმრნენ.**

ბატონმა ფრენკ კოლუმბუსმა ეს გამომცემლობა 25 წლის წინათ დააფუძნა. „ნოვა საიენს ფაბლიშერი“ გამოსცემს მეცნიერების სხვადასხვა დარგის 1500-მდე დასახელების წიგნს და 75 ჟურნალს. ამჟამად მას კიდევ ერთი ჟურნალი მიემატა: „მეცნიერების, ტექნიკისა და მედიცინის საქართველოს საერთაშორისო ჟურნალი“, რომლის რედაქტორია ბატონი სერგო გოცირიძე. ფრენკ კოლუმბუსი თავის დროზე აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის თანამშრომელი იყო და მრავალ ასეთ ცნობილ გამომცემლობაში უმუშავია. შემდეგ კი საკუთარი გამომცემლობა დააარსა, რომელსაც მაღალი რეიტინგი აქვს და მასთან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერები თანამშრომლობენ. ქვეყნდება მათი მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები. ასევე, ასპარეზი ეთმობათ ნობელიანტ მეცნიერებს. გამომცემლობა მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ ქართველ მეცნიერებთან. მრავალი მათგანის წიგნი უკვე გამოიცა. ესენი არიან ჯემალ ხუბუა, გენეტიკოსი თეიმურაზ ლეჟავა, ეკონომისტი ვლადიმერ პაპავა, კონსტრუქტორ-მშენებელი იური მელაშვილი, ფიზიოლოგი ნოდარ მითაგვარია, ქიმიკოსი ომარ მუკბანიანი, საინჟინრო ჯარების გენერალი ელგუჯა მეძმარიაშვილი.

„ნოვა საიენს ფაბლიშერმა“ კიდევ ერთი — კულტურათა დიალოგის პროექტი წამოიწყო, რომლის იდეაც სრულიად საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეკუთვნის. გამომცემლობამ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს მოუწოდა, კულტურათა დიალოგში ჩაერთონ და მასალები მიაწოდონ. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ქართველ მეცნიერთა ნაშრომები ცალკე წიგნად გამოიცემა. აღსანიშნავია, რომ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 90 წლისთავთან დაკავშირებით, „ნოვა საიენს ფაბლიშერმა“ საიუბილეო წიგნი დასტამბა. მალე გამოიცემა კრებული ქართული ფოლკლორის პოლიფონიაზე, ქართული მრავალხმიანობის ფენომენის შესახებ. ამ საკითხზე გამომცემლობასთან თანამშრომლობენ ქალბატონები: მანანა დოიჯაშვილი და რუსუდან წურწუმია.

ქალბატონი ნადია გოცირიძე მადლიერებით მოიხსენიებს საზოგადოება „ცოდნას“ და მის ხელმძღვანელს, მწერალ ნუგზარ წერეთელს, ვინც მას დაეხმარა ქართველ მეცნიერებთან დაკავშირებაში. იგი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს „ნოვა საიენს ფაბლიშერის“ წარმომადგენლის, ბატონ სერგო გოცირიძის თანადგომას ამ კონტაქტების მოძიებაში.

**სერგო გოცირიძე:** ფრენკ კოლუმბუსი და ჩემი ბიძაშვილი ნადია გოცირიძე პირველად როდი სტუმრობენ საქართველოს. ბატონ ფრენკს 25-წლიანი ურთიერთობა აკავშირებს ქართველ მეცნიერებთან და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან, ეს კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა იმან, რომ ნადია გოცირიძე ბატონ ფრენკის მეუღლეა. იგი ქართველია, წარმოშობით — რაჭველი. სწორედაც რომ ოჯახის ფესვებმა და მიწის ყივილმა განაპირობა მათი მისწრაფება საქართველოსადმი და ქართველ მეცნიერთა მოზიდვა.



ქალბატონი ნადია გოცირიძე მოსკოვში დაიბადა, დედა რუსი ჰყავდა. როდესაც ეკითხებიან, ქართველია თუ რუსი, იგი პასუხობს: ქართველი ვარ, რომელსაც ძარღვებში რუსული სისხლიც აქვსო. მის მეუღლეს, ბატონ ფრენკს მიაჩნია, რომ საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანაა: „ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც მე დავიბადე, 200 წლის ისტორია აქვს, საქართველოს ქრისტიანობა კი — 1600 წლისაა. ქართველები უძველესი და მდიდარი კულტურის ხალხია და ამ მხრივ ამერიკას ვერც შევადარებ“... — გვითხრა ბატონმა ფრენკმა.

ქალბატონი ნადიას აზრით, აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოში საგანგებო ვითარება შეიქმნა. არა პოლიტიკოსები, არამედ უბრალო ადამიანები ნაწყენები, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი არიან საკუთარი ქვეყნის გამო: **„დრო დადგა, საქართველო ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ყალბი რწმენისგან, რომ კეთილი ამერიკა დაეხმარება. ამერიკა საქართველოს იმდენჯერ დაეხმარება, რამდენჯერაც ეს თავად მას დასჭირდება. ის აზრი, რომ კეთილი ძია სემი გვიხსნის, და ბუშის ქუჩაზე ყველა ერთად ვიცეკვებთ... უმართებულოა. ასე აზროვნება აღარ შეიძლება“...**

ნადია გოცირიძე აგვისტოს ომს შეცდომად მიიჩნევს, რომელიც რუსეთის ინტერესებმა განაპირობა: „ამ ომში არც რუსეთს და არც საქართველოს არ მოუგია, არამედ გაიმარჯვეს სხვა ძალებმა. ახლა უკვე გვიანია თითზე კბენანი, რუსეთის პროვოკაციას საქართველო არ უნდა წამოგებულიყო. იგი რუსეთის ხაფანგში გაება“.

ნადია გოცირიძის თქმით, მოსკოვში, მასმედიით თუ საზოგადოებაში ერთი პიროვნების პრობლემა ტრიალებს.

აგვისტოს უმძიმეს დღეებში, ქალბატონ ნადიას და ბატონ ფრენკს ვაშინგტონში მოუწიათ ყოფნა. მაშინ, როდესაც ამერიკელებს მწირი ინფორმაცია აქვთ ჩვენს ქვეყანაზე და ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ ჯორჯიის შტატსა და საქართველოს, გასაოცარია ამ წყვილის ღრმა ცოდნა საქართველოს კულტურისა და ისტორიისა. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენი ქვეყანა გაუთვითცნობიერებელ დასავლეთს გააცნონ. **ომის დროს ინტერნეტით გავრცელებული ჯორჯიის შტატის მცხოვრებთა ისტერიული წერილი — რა ხდება, რატომ შეჰყავთ რუსებს ჯარები ჯორჯიას შტატშიო... და ამის საპირისპიროდ, ქალბატონი ნადია გაოცებულია ვაშინგტონელი ტაქსისტით, რომელიც კარგად ერკვეოდა საქართველოს ცხოვრებაში. ერთი რამ ვერ გავიგე, — უთქვამს ტაქსისტს, — როდესაც რუსეთმა აფხაზეთის მცხოვრებლებს პასპორტები დაურიგა, რას ფიქრობდა ამაზე საქართველოს მთავრობა, ეს როგორ დაუშვესო?.. „სამწუხაროდ, ვაშინგტონელი ტაქსისტის ამ ჯანსაღ შეკითხვაზე პასუხი არ მქონდა“, — ამბობს ქალბატონი ნადია.**

მას და მის მეუღლეს გამორჩეულად უყვართ საქართველო. შორიდან, უცხოეთიდან უფრო მძაფრად შეიგრძნობენ ყოველივე ავსა თუ კარგს. მან გაიხსენა საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები, რომლებიც მან ჯორჯ ბუშს ქართველი ერის სახელით უთხრა: „ჩვენ გავალმერთებთ თქვენს პრინციპებს“. „რა უფლებით ლაპარაკობდა ქართველი ერის სახელით, როდესაც ერაყთან ომი მიმდინარეობდა და ამერიკა უდანაშაულო ადამიანებს მარხავდა... გალმერთება არავისი და არაფრის არ შეიძლება, გარდა ღმერთისა“...

ქალბატონი ნადია აღშფოთებულია ქართველ ახალგაზრდებში მოძალებული ტენდენციით — ყველაზე ცუდი გადმოიღონ დასავლეთისა და ამერიკისგან...

„მათ ავიწყდებათ, რომ აქვთ ის განძი, რაც ამერიკას და რუსეთს არ დასიზმრებია — თვითმყოფადი კულტურა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, ხელთ შეგვრჩება ეგზოტიკური არქივი, ტურისტული რალაც ქვეყანა, რომელიც გახდა მექსიკა. თუ მეცნიერები იშიმშილებენ, დაიხურება გამომცემლობები და მათ ადგილას სასტუმროები აშენდება, ეს ქვეყანა კი არა, დანამატი იქნება, ანდა ბანანის რესპუბლიკა, რაც საქართველოსთვის დიდ ტრაგედიას გამოიწვევს“...

ქალბატონი ნადიას და ბატონი ფრენკის სურვილია ერთი პროექტის განხორციელება, რომელსაც „ოცნება“ უწოდეს: მოიარონ საქართველოს ყველა რეგიონი — რაჭა, კახეთი, იმერეთი, სვანეთი... შეხვდნენ უბრალო ადამიანებს, კოლორიტებს, ჩაიწერონ მათი ნაამბობი, რით სუნთქავენ, როგორ აღიქვამენ სამყაროს... სწორედ სოფელშია შემონახული ქართული თვითმყოფადობა, რის შესახებაც დასავლეთის მკითხველმა თითქმის არაფერი იცისო. შემდეგ აპირებენ სპეციალური კრებულის გამოცემას, სადაც ეს მასალა განთავსდება. ბატონი ფრენკი და ქალბატონი ნადია ამ პროექტის განსახორციელებლად დახმარებას სთხოვენ რეგიონში ადგილობრივ ჟურნალისტებს თუ მაცხოვრებლებს.

**და კიდევ — ერთი საინტერესო ცნობით მინდა ამ წერილის დასრულება: 12 წლის წინათ ამერიკაში ჩაბრძანებულ და ქართველების შეკრებაზე მისულ პატრიარქს ქალბატონი ნადიასთვის უთქვამს: მხოლოდ საქართველოს სიყვარული არ კმარა, იქ საკუთარი კერა უნდა გქონდესო, სახლი შეიძინო პატარა ეზოთი, შემდეგ ხუმრობით დაუმატებია, იმ ეზოში ქათმებიც უნდა მოამრავლოო...**

**„ბატონმა ფრენკმა და ქალბატონმა ნადიამ შეასრულეს პატრიარქის სურვილი — ვაკეში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე სახლი შეიძინეს ეზოთი. ახლა ქათმებიღა აკლიაო“, — ღიმილით დასძინა ბატონმა სერგო გოცირიძემ.**

**ამ არაჩვეულებრივ ადამიანებს სჯერათ, რომ მათ პატრიარქის დალოცვა შეეწიათ და საქართველოსთან სიახლოვეც ამან განაპირობა. იმედია, მათი ყველა წამოწყება და საქმიანობაც ასევე, დალოცვილი იქნება.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

**სურათზე: (მარჯვნიდან) ფრენკ კოლუმბუსი, ნადია გოცირიძე და სერგო გოცირიძე სტუმრად „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში.**

◎ თვალსაზრისი

# რუსეთს კვლავ დასდეს მსჯავრი

**ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოს მორიგი გადაწყვეტილება კვლავ არ აღმოჩნდა რუსეთისთვის სასარგებლო: სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს 10 000 ევრო მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს ოლღა კუდეშკინას სიტყვის თავისუფლებაზე მისი უფლების დარღვევის გამო.**

ქალბატონ კუდეშკინას ჩამოართვეს მოსამართლის სტატუსი იმისთვის, რომ იგი გულღიად ლაპარაკობდა მართლმსაჯულებაზე ზემოქმედების შესახებ პროკურატურისა და თავისი ხელმძღვანელობის მხრიდან. წლითიწლობით იზრდება ევროსასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ სარჩელთა რაოდენობა: 2008 წელს 245 საჩივრიდან 233 დაკმაყოფილდა. მათი უმეტესობა შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ადგილობრივ დონეზე.



დღეისთვის ევროსასამართლოში არის რუსეთელთა 27 246 საჩივარი — დაახლოებით ყველა საჩივრის ერთი-მესამედი. ყველაზე ხშირი მიზეზი საჩივრებისა — 70 პროცენტზე მეტი — სასამართლოთა შეუსრულებელი გადაწყვეტილებების გამოა. რუსეთის მართლმსაჯულების პრობლემასთან ბრძოლის მიზნით სტრასბურგის სასამართლომ მოითხოვა, რომ რუსეთმა წელიწად-ნახევრის განმავლობაში საკანონმდებლო დონეზე დაძლიოს სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების გაჭიანურება, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება სანქციები. წვეთი, რომელმაც სტრასბურგის მოთმინების ფიალა აავსო, გახდა იქ ჩერნობილელი ა.ბურდოვის განმეორებითი მიმართვა, რომელიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგაც კი შეუსრულებელი დარჩა და მომჩივანს არ გადაუხადეს სათანადო კომპენსაცია. ეს პრობლემა აღელვებს პრეზიდენტ დ. მედვედევსაც, რომელმაც შესთავაზა კანონპროექტი სახელმწიფოსთვის მიყენებული იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოიწვია მოქალაქეთა მიმართვის განხილვის ვადებისა და წესების დარღვევებმა. მაგრამ გასული კვირის ბოლოს საკონსტიტუციო კანონმდებლობისა და სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის წარმომადგენელმა რეკომენდაცია მისცა სახელმწიფო დუმას, უარყოს კანონპროექტი, რაც შეასრულეს კიდეც მისმა კოლეგებმა.

„მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ცუდად მუშაობს სასამართლოს ბოქაულების სამსახური, — კომენტარს უკეთებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ნიჟეგოროდსკის წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის ხელმძღვანელი იგორ კალიაპინი. — ჩვენ ვცდილობთ, არ მივიყვანოთ საქმე არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებამდე, არამედ საბოლოო გადახდამდეც კი. ზოგჯერ ვახერხებთ, თავი დავაღწიოთ სტრასბურგსაც. მაგალითად, სანკინის საქმეზე (წამება სამართალდამცვით ორგანოებშიძ ჩვენ გავაგზავნეთ საჩივარი ევროსასამართლოში, მან კი ამ დროს უკვე მიიღო ნიჟნი ნოვგოროდის ერთ-ერთი რაისასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კომპენსაცია 3 მილიონ 200 ათასი რუბლის ოდენობით. საჩივარი ჩვენ უკან გამოვიწვიეთ. რასაკვირველია, სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესურა უნდა მოგვარდეს, მათ შორის, კანონმდებლობითაც. მაგრამ საჩვენებელი იყო ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მილიციის ორი თანამშრომლის მიმართ, რომლებიც ფიგურირებდნენ მიხეევის ცნობილ საქმესთან დაკავშირებით (მას ბრალს სდებდნენ ქალიშვილის მკვლელობაში და აწამებდნენ. ის გადმოხტა ფანჯრიდან, რის შედეგადაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში დარჩა ინვალიდად, გოგონა კი რამდენიმე დღის შემდეგ სახლში დაბრუნდაძ. ევროსასამართლომ მას მიუსაჯა 250 ათასი ევროს კომპენსაცია. სახელმწიფომ გადაიხადა ეს ფული, ახლა კი ცდილობს გადაახდევინოს ეს თანხა მილიციის იმ მუშაკებს, რომლებიც აღიარებული არიან დამნაშავეებად წამებაში. ეს მთლიანად 8 მილიონ რუბლს შეადგენს, რასაც ძნელად რომ გადაიხდიან ოდესმე მილიციის ის ორი თანამშრომელი, მაგრამ პრეცედენტი შედგა და მას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ეფექტი“.

**ტატიანა კუზნეცოვა.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ტარანი თვლით არის

# მარტოხელა მარჩენალდაკარგული მოხუცების პენსია მეტია თუ რუსლანას ერთი კოცნა?



*უკანონობის ზეობა რომ სუფევს ჩვენს ქვეყანაში, ეს არახალია, ამას ისიც ემატება, რომ პარადოქსებით სავსეა ჩვენი ყოველდღიური ყოფა მთავრობისა და ხელისუფლების უნიათობითა თუ შეგნებული ქმედებებით გამოწვეული.*

*სულ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან და ყველაფერს ფარდა აეხდება.*

### პარადოქსი პირველი

**„ნაციონალურმა მოძრაობამ მთავრობას უარი ათქმევინა იმ გეგმაზე, რომელიც პენსიის ნაცვლად ფასიანი ქაღალდების და ობლიგაციების დარიგებას ითვალისწინებდა. ჩვენ იმასაც მივაღწიეთ, რომ 2004 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება დანამატები პენსიებზე, დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით. შევძელით ისიც, რომ 2003 წლის 1 ივლისიდან რეპრესიების მსხვერპლთა შვილები 45 ლარის ოდენობით პენსიას იღებენ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავარი ამოცანაა საზოგადოების სოციალურად დაუცველ ნაწილზე ზრუნვა. ამიტომ ჩვენი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში მთელ საქართველოში გაორმაგდება პენსია და ამოქმედდება დანამატების კანონი.**

**გვინდა პირადად გთხოვოთ აქტიური მხარდაჭერა მოახლოებულ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში, რათა ერთობლივი ძალებით შევძლოთ დასახული გეგმების განხორციელება.**

**პატივისცემით მიხეილ სააკაშვილი, გოჩა ჯოჯუა...“**

მშვენიერი დაპირებაა, უკეთესს ვერც ინატრებს შრომით, ჯაფითა და ბრძოლით დაღლილი პენსიონერი. ხმებიც მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ, ხელისუფლებაშიც მოვიდა და ამ დაპირების ერთ-ერთი ხელისმომწერი საქართველოს პრეზიდენტიც გახდა. გახდა და...

**„2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“. ამ კანონის მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით მოქალაქეები, რომლებიც იღებდნენ პენსიას ასაკის გამო და მარჩენალის გარდაცვალების გამო, არჩევანის წინაშე დააყენეს — ან ერთი პენსია ან მეორე“.**

ეს უკვე პარადოქსი კი არა ცინიზმია. ცინიზმი იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც ერთადერთი მარჩენალი შვილი დაეღუპათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში.

ამ აბუჩადაგდებულ ადამიანთა შორისაა ამირან ნორაკიძეც, 75 წლის მარტოხელა კაცი, რომელსაც 50 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი აქვს, რომლის ერთადერთი ვაჟი — აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს გამომძიებელი შეეწირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლას. შვილის აფხაზეთის ომში დაღუპვის შემდეგ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც მშობელს, ამირან ნორაკიძეს დაენიშნა პენსია 52 ლარის ოდენობით.

2005 წლის 23 დეკემბრის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მოქალაქე ამირან ნორაკიძეს შეეზღუდა ორი სახეობის პენსიის მიღება.

არავინ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ერთადერთ მარჩენალდაკარგული მშობლები შვილის გარდაცვალების გამო პენსიას კი არა, სახელმწიფოდან კომპენსაციას იღებენ. კომპენსაცია და პენსია ორი პენსია არ არის. უფრო მეტიც 1996 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კანონის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპული, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილოების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **„ოჯახებს ენიჭებათ ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები. დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათის, უპირატესობის, უფლების დახმარების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტი“.**

2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონში მიღებული ცვლილებების გამო ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შელახა ადამიანთა უფლებები, აბუჩად აიგდო ისინი და ყოველგვარი ცინიზმით საარსებო წყარო გადაუკეტა იმ მოხუცებს, რომლებიც ომში დაღუპული მარჩენალის კომპენსაციისა და მიზერული პენსიის იმედზელა იყვნენ.

### პარადოქსი მეორე

ვინ გახლდათ ამ კანონში ცვლილებების შეტანის დროს პარლამენტის თავმჯდომარე? ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. სულ ახლახან, როდესაც ქალბატონი ნინო ოპოზიციონერის მანტიით მოგვევლინა, იგი სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ ეს ფაქტი (მხედველობაში გვაქვს 2005 წლის 23 დეკემბერს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებიძ იყო სამარცხვინო და ეს მძიმე შეცდომა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. კარგია, რომ ქალბატონმა ნინომ ეს სამარცხვინო შეცდომა აღიარა, მაგრამ ვინ უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა?

სწორედ ეს აინტერესებს ბატონ ამირან ნორაკიძეს და არა მარტო მას, არამედ ომში მარჩენალდაღუპულ მშობლებს. სწორედ ამ გასაჭირმა და უსამართლობამ გააერთიანა ისინი. როგორც იტყვიან ჩაიცვეს რკინის ქალამნები და დაიწყეს სიმართლის ძებნა. მარტო ბატონმა ამირანმა ოთხჯერ მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს **დავით ბაქრაძეს,** ორჯერ — **გიორგი არსენიშვილს,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტს (უფროსი **დავით პავლიაშვილი**ძ, პარლამენტში უმცირესობის ლიდერს პარლამენტარ **გიორგი თარგამაძეს,** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს **გივი თარგამაძეს,** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს (თავმჯდომარე **ოთარ თოიძე**ძ, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს **პავლე კუბლაშვილს.**

შედეგი... ზოგიერთისგან დაპირება, რომ ეს ცვლილებები აუცილებლად შევა კანონში, ზოგიერთისგან პასუხი, რომ კანონი კანონია და ვერაფერს გააწყობ. მავანნი სიტყვა-სიტყვით წერენ თავიანთ პასუხში, რომ ეს მართლაც სამარცხვინო კანონია...

რას იზამთ, ამ სამარცხვინო კანონის მიღებიდან სამი წელი გავიდა. გაწამდნენ მარტოხელა მშობლები და 20 თებერვალს პარლამენტის წინ გამაფრთხილებელი აქციაც მოაწყვეს. მაგრამ კვლავ — ხმა უდაბნოსა მღაღადებლისა შინა...

### პარადოქსი მესამე და ყველაზე სამარცხვინო

სულ რამდენი მარჩენალდაკარგული მარტოხელა ადამიანია საქართველოში? ამაზე პასუხი საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტმაც ვერ მოგვცა. დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა **გ. შიუკაშვილმა** განაცხადა, რომ მარტოხელა მშობლებზე, რომლებსაც დაეღუპათ ერთადერთი მარჩენალი შვილი, ინფორმაცია... არ გააჩნიათ.

ვთქვათ ათასამდე ასეთი დაჩაგრული ადამიანია. ეს ხომ თვეში 52 ათასი ლარია, რომელიც სახელმწიფომ კომპენსაციის სახით უნდა გაიღოს. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მათი თავი და ვთქვათ 50 წლის სიცოცხლე დარჩენიათ (?!ძ. უბრალო მათემატიკაა — ამ ოჯახებს 50 წლის მანძილზე 31 მილიონ 200 ათასი ლარი უნდა გადავუხადოთ.

ახლა ცოტა სხვა სტატისტიკაც მოვიშველიოთ. თუ არ ვცდები „კვირის ქრონიკაში“ წავიკითხე ორიოდე წლის წინათ და ამოვიწერე ჩემი კოლეგის ეკა სეხნიაშვილის ჟურნალისტური გამოძიების შედეგები. რადგან ეკასთვის სახელმწიფო მოხელეებს პასუხი არ მოუთხოვიათ (დავიჯერო პრეზიდენტივით ყველა მაღალჩინოსანი არ კითხულობს პრესას?ძ ე.ი. ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. თავს უფლებას მივცემ და რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

2004 წლის მესამე კვარტალში ბიუჯეტიდან პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში 31,8 მილიონი ლარი გამოიყო, ხოლო 2004-2006 წლებში — 100 მილიონამდე. რაში დაიხარჯა ეს თანხა?

**1. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში შეძენილი საჭიდაო ლეიბების განბაჟება — 125 ათასი ლარი.**

**2. რაჭა-ლეჩხუმში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულისთვის მანქანის შეძენა — 13500 ლარი.**

**3. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისთვის სამსახურებრივი ავტოტრანსპორტის შეძენა — 60000 ლარი.**

**4. „ვარდების რევოლუციის“ საიუბილეო კონცერტისთვის: 2004 წელს — 200 000 ლარი, 2005 წელს — 300 000 ლარი.**

**6. თავისუფლების მოედანზე უკრაინელი მომღერლის რუსლანას კონცერტის მოწყობა და პრეზიდენტს მისთვის კოცნა 123 000 ლარი დაუჯდა.**

**7. „პატრიოტების“ კონცერტები — 80 000 ლარი.**

**8. სამეგრელოში ჩატარებული რალი (რომელშიც ქალბატონი ნინოს ვაჟიც მონაწილეობდა) — 30 000 ლარი.**

**9. ფესტივალი ბათუმში — 75 500 ლარი.**

**10. კონცერტი სტუდენტებისთვის — 45 000 ლარი.**

**11. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისადმი მიძღვნილი კონცერტი — 45 550 ლარი.**

**12. კოტე კემულარიასთვის სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენა და სამუშაო ოთახის მოწყობა — 180 000 ლარი.**

**13. სახელმწიფო დროშების შესაძენად და მოსახლეობისთვის საჩუქრად გადაცემა — 552 500 ლარი.**

**14. ატრაქციონების მოსაწყობად — 533 120 ლარი.**

**15. გმირთა მოედანზე ე.წ. „ბენდუქიძის ოყნის“ აგება (შადრევანი გვაქვს მხედველობაში) — 793922 ლარი.**

**16. სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთათვის სახელმძღვანელოები — 710 000 ლარი.**

**17. „პატრიოტების“ ჰიმნის ვიდეო-რგოლის დამზადება — 85 000 ლარი.**

**18. „პატრიოტების“ ფორუმი — 363 000 ლარი.**

**19. ოსიაურისა და დუშეთის რეზერვისტებისთვის კონცერტის მოწყობა — 57 000 ლარი.**

**20. ლატვიის პრეზიდენტის პატივსაცემად მოწყობილი კონცერტი მცხეთაში — 39 000 ლარი და ა.შ. აქ ზედმეტად ჩავთვალე პარლამენტართა და პრეზიდენტთან დაახლოებულ პირთა საზღვარგარეთ დასასვენებლად გამოყოფილი თანხების დაჯამება.**

არ დაგავიწყდეთ, მეგობრებო, ეს არის მხოლოდ 2004-2006 წლების მაჩვენებელი.

ისე, ჩვენთვის ვთქვათ — სადღა ექნება მთავრობას მარჩენალდაღუპული მარტოხელა მოხუცებისთვის შვილის დაღუპვის გამო 52 ლარის გაცემის თავი? არადა აქ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებზეა საუბარი. სანამ კანონში ცვლილების შესახებ დაპირებებს მიიღებდნენ, სამი წელი გავიდა თითქმის, სანამ კანონს შეცვლიან, კიდევ კარგა ხანი გავა და გავიდა მარტოხელათა სიცოცხლეც ცრუ დაპირებებში.

**მამუკა ვაშაკიძე.**

## წკეპლიკა

# „მულო შენ გეუბნებოდი, რძალო შენ გაიგონეო“

**ამ დღეებში დავესწარი ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელიც ოპერის თეატრში გაიმართა. თავისთავად, ცხადია, რომ კარგი, მისასალმებელი ფაქტია.** შესრულდა ფრაგმენტები ბალეტებიდან, რომლებიც თავის დროზე დადგა ბატონმა ვახტანგმა (ს. პროკოფიევის „გერია“ და ა. კრეინის „ლაურენსია“ძ. გული დამწყვიტა მხოლოდ იმან, რომ საღამომ რიგითი სპექტაკლივით ჩაიარა. განა კარგი არ იქნებოდა საბალეტო წარმოდგენის დაწყებამდე ვინმე (სპეციალურად მოწვეული, ანდა სულაც თეატრის დირექციის წარმომადგენელიძ გამოსულიყო და ორიოდე შესაფერისი სიტყვა ეთქვა ამ გამოჩენილი ხელოვანის შესახებ?

რაც იყო, იყო. მთავარი კი აწი მინდა ვთქვა. მომავალ 2010 წელს სრულდება ბუმბერაზი, (რომ არსებობდეს ასეთი ფორმა — დავწერდი „უუდიდესიო“ძ ქართველი არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების „უმრგვალესი“ საიუბილეო თარიღი — 100 წელი!

განა სირცხვილი არ არის, რომ დღემდე არა გვაქვს ქალაქში ბატონი ვახტანგის ძეგლი? (ესეც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს დავაბრალოთ?ძ. უკვე მრავალი წელია მესმის, რომ ამ ძეგლის შექმნაზე მუშაობს გამოჩენილი სკულპტორი გ.შხვაცაბაია, რომლის ბრწყინვალე (თუმც ცუდად მოვლილიძ ნამუშევარი — ევგენი მიქელაძის ძეგლი ამშვენებს თეატრის ბაღს. მაგრამ საქმეს სასიკეთო ბოლო ჯერაც არ უჩანს. ფიქრობს ვინმე სკულპტორისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაზე?

ყოველი ცივილიზებული საზოგადოება ხომ იამაყებდა ისეთი ხელოვანით, როგორიც იყო ვახტანგ ჭაბუკიანი.

ჩვენ რაღა გვემართება? ამაზე ხომ არ არის ნათქვამი: „მულო (ე. ი. თეატროძ შენ გეუბნებოდი, რძალო (ე. ი. ხელისუფლებავძ შენ გაიგონეო“?

**გულბათ ტორაძე**

◎ სამბო

# ესტაფეტა ლევან თედიაშვილს გადაეცა



**სამბოს ეროვნულ ფედერაციას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილის სახით ახალი პრეზიდენტი ჰყავს.**

**ლეგენდარულმა ფალავანმა „სახალხო ბანკის“ ყოფილი თავკაცი, პარლამენტარი გიორგი გოგუაძე შეცვალა, რომელიც ორი თვის წინათ გადადგა.**

◎ კალათბურთი

# ენდე საკუთარ თავს



**ეჩაგრათ ძოწისფერები.**

ხომ გსმენიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ნავარომ, გაზილემ, ილიასოლამ და კომპანიამ ყველაფერი ილონეს საქმის სასურველ ფინიშამდე მისაყვანად და მიზანსაც მიაღწიეს – 90:79. ამ გამარჯვებით „ბარსელონამ“ ვადამდე გაინაღდა პლეი-ოფში თამაშის უფლება. შეგახსენებთ, რომ „რეალს“ ეს ამოცანა წარმატებით უფრო ადრე ჰქონდა გადაჭრილი.

**ისე მოხდა, რომ მადრიდის „რეალს“ დაუძინებელი მტრის – „ბარსელონას“ ჯგუფში ჩატოვების შანსი მიეცა. საამისოდ „სამეფო კლუბს“ კატალონიაში უნდა დაემარცხებინა პრინციპული მეტოქე, თელავივის „მაკაბის“ კი ბერლინში „ალბასთან“ უნდა მოეგო მატჩი. ამ შემთხვევაში ყველაფერს ისრაელის დედაქალაქში დასკვნით ტურში დანიშნული შეხვედრა გადაწყვეტდა, სადაც მასპინძლებს, არც მეტი, არც ნაკლები, 20 ქულაზე მეტი სხვაობით უნდა და-**

ოთხშაბათის რაუნდის დანარჩენ მატჩებს ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა და ჩვენც მხოლოდ მათ შედეგებს გაგაცნობთ: „უნიკახა“ – „რომა“ 99:64, „პროკომი“ – „ტაუგრესი“ 72:92, ცსკა – „ულქერი“ 77:60.

◎ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**მოახლოებული ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური რაუნდის წინ პრემიერლიგის გოგოლებმა, თითქოს პირი შეკრესო, ქულათა მაქსიმუმი მოიპოვეს.**

არანაკლებ საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ქვედა ეშელონში. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფინიშამდე ათი ტურით ადრე თითქმის უიმედო გახდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ სატურნირო მდგომარეობა, „ტოტენჰემმა“ კი, პირიქით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად.

**XXVIII ტურის შეხვედრათა შედეგები:** „ნიუკასლი“ – „მანჩესტერი“ 1:2, „ლივერპული“ – „სანდერლენდი“ 2:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ – „ჩელსი“ 0:1, „მანჩესტერ სიტი“ – „ასტონ ვილა“ 2:0, „ბლექბერნი“ – „ევერტონი“ 0:0, „ფულჰემი“ – „ჰალი“ 0:1, „ტოტენჰემი“ – „მიდლსბრო“ 4:0, „უიგანი“ – „ვესტ ჰემი“ 0:1, „სტოკი“ – „ბოლტონი“ 2:0, „პორტსმუთი“ – „არსენალი“ 1:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 65 (27 თამაშიდან¿, „ჩელსი“, „ლივერპული“ – 58-58 ქულა.

**იტალიის თასის ნახევარფინალი. I მატჩები.** „ლაციო“ – „იუვენტუსი“ 2:1, „სამპდორია“ – „ინტერი“ 3:0.

**ესპანეთის თასის ნახევარფინალი. II მატჩები.** „მალიორკა“ – „ბარსელონა“ 1:1 (0:2¿, „ბილბაო“ – „სევილია“ 3:0 (1:2¿.

**გერმანიის თასის მეოთხედფინალი.** „მაინცი“ – „შალკე“ 1:0, „ლევერკუზენი“ – „ბაიერნი“ 4:2, „ვოლფსბურგი“ – „ვერდერი“ 2:5, „ჰამბურგი“ – „ვეენი“ 2:1.

◎ პრემიერლიგის მარგალიტები

# იქნებ, ინგლისელთათვის მიგვებაძა

**პოპულარული ინგლისური გამოცემა „სანი“ კარგა ხნის განმავლობაში აგროვებდა ცნობილ მწვრთნელთა ვულგარულ გამონათქვამებს და ამ დღეებში გამოაქვეყნა კიდეც ისინი. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.**

**სერ ალექს ფერგიუსონი:** „მართალია, „არსენალმა“ ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ ჩვენ მობილიზება შევძელით და ლონდონელები ორი ბურთის სხვაობით დავამარცხეთ. დაცვაში ძალიან კარგად გაისარჯა უესლი ბრაუნი, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი“. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ შეხვედრაში ბრაუნს მონაწილეობა არ მიუღია. მეტიც, ტრავმის გამო იგი განაცხადშიც ვერ მოხვდა.

**ჟოზე მაურინიუ:** „ყოველ დილით, როდესაც ვიღვიძებ, არსენ ვენგერზე ვფიქრობ. გაოცებული ვარ, როგორ ახერხებს იგი საბავშვო ბაღში ასე უწყვეტად მუშაობას. მე ნამდვილად გავგიჟდებოდი“.

**კლაუდიო რანიერი:** „დღეს რომ შემწვარი ხორცი მეჭამა, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი გოლს ვერ გაიტანდა. პირველად ერთი თვის წინათ დავამუღამე, რომ თუ მატჩის დღეს შემწვარ ხორცს ვჭამ, ჯიმი არაპროდუქტიულად ირჯება“.



**პოლ იუელი:** „დღეს ცოლს გავეყრები, რადგან გუშინ გაბრაზებულმა მომაძახა, პრემიერლიგიდან გავარდებითო. მართალია, გადავრჩით, მაგრამ ბევრი ვინერვიულე. ასეთ ქალთან ერთად ცხოვრება წარმოუდგენელია. მან ჩემი გუნდის კაპიტნის სახელი და გვარიც კი ვერ დაიმახსოვრა“.

**მარკ ჰიუზი:** „ბლექბერნი“ ისეთ ვარდს მაგონებს, მხოლოდ ეკლები რომ აქვს და მისი ნახვა არავის სიამოვნებს. ვიჩხვლიტებით, მეგობრებო, ვიჩხვლიტებით!“

**კარლუშ კეირუში:** „მაურინიუს ურჩევნია, თავისი ძაღლი ხშირ-ხშირად გაასეირნოს, თორემ მისი ჩვევები გადაედო და ყველაფერზე უაზროდ იყეფება. ნამდვილი დოზერმანია, მხოლოდ მისი არავის ეშინია“.

**როი კინი:** „ფეხბურთელების დამორჩილების პრობლემა არა მაქვს. „მანჩესტერში“ თამაშისას ყველას ვაშინებდი და ვატეროებდი. შესაბამისად, გამოცდილება არ მაკლია. რაც შეეხება ჩემს სამწვრთნელო დონეს, ვფიქრობ, „ლამბორჯინის“ სიმაღლეს ვქაჩავ. არც მთლად „ბენტლი“ ვარ, მაგრამ „ლინკოლნს“ არაფრით ჩამოვუვარდები“.

**რაფაელ ბენიტესი:** „ჩემპიონთა ლიგის მოგებამ ისე გამახარა, რომ როცა სახლში მივედი, შხაპის მიღება დამეზარა და ისე დავიძინე. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ გამიკეთებია“.

**არსენ ვენგერი:** „უილიამ გალასი მოუთვინიერებელი ცხენია. იქნებ, ფრთების მოჭრა მას სასიკეთოდ წაადგეს. თუ არადა, აქედან მატარებლით გავამგზავრებ „სტემფორდ ბრიჯისკენ“.

**და ბოლოს, ისევ სერ ალექს ფერგიუსონი:** „კარლოს ტევესი იმდენად მაღალი დონის ფეხბურთელია, ვფიქრობ, ღირს თუ არა მისი „მანჩესტერ იუნაიტედში“ დატოვება“.

The Sun

◎ ჩვენებური

# გზაჯვარედინზე



**გია გრიგალავა როსტოვის არმიის სპორტული კლუბის წევრია და ამ დღეებში ამსტერდამის „აიაქსში“ აპირდებიან.**

ჩვენი თანამემამულის კონტრაქტი 300 000 ევროდაა შეფასებული. რუსეთის მოქალაქემ ახალგაზრდულ კონტინგენტთან ერთად უკვე მოასწრო მეორე ლიგის კლუბ ექსცელსიორის“ წინააღმდეგ საკონტროლო შეხვედრაში თამაში, მისი ჰოლანდიაში დარჩენის საკითხს კი იქაური გრანდის თავკაცი მარკო ვან ბასტენი მას შემდეგ გადაწყვეტს, რაც ამპლუით მარცხენა ცენტრალური მცველი გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ივარჯიშებს, ეს კი უახლოეს მომავალში მოხდება.

დავძენთ, რომ პერსპექტიული ჭაბუკის ოცნების კლუბი „მილანია“, საყვარელი ფეხბურთელის დასახელებისგან კი ჯერჯერობით თავს იკავებს.

◎ კადრი




◎ აღიარება

# მისი დროც დადგა

**ვედად იბიშევიჩი გულშემატკივართა დიდმა არმიამ მიმდინარე სეზონში გაიცნო – მოგეხსენებათ, „ჰოფენჰაიმის“ ლიდერი ბუნდესლიგის I წრის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 18 გატანილი გოლით. მძიმე ტრავმამ იგი კარგა ხნით გახადა ლაზარეთის ბინადარი, თუმცა ამ დღეებში მომხდარმა ფაქტმა, ვფიქრობთ, ხასიათი გამოუკეთა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, იბიშევიჩი იქაურმა ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა ბოსნია-ჰერცეგოვინის 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს.

სარაევოში გამართული დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ბალკანელი ფორვარდი სიხარულს ვერ მალავდა: „უზომოდ ბედნიერი ვარ. ყველანაირ აღიარებასა და ტიტულს თანამემამულეთა სიყვარული მირჩევნია, რადგან არაფერია იმაზე კარგი, როცა გრძნობ, რომ სამშობლოში ხალხი გაფასებს. დღევანდელი საღამო სამუდამოდ ჩაიბეჭდება ჩემს მეხსიერებაში. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადა და ჩემი სიხარული გაიზიარა“.



აქვე იმასაც გაუწყებთ, რომ განვლილი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად ბოსნიელებმა ფრანგული „გრენობლის“ დამრიგებელი მეჰმედ ბაჟდარევიჩი სცნეს.

## ჩვენებურები

**გაზეთ „ტრუდ-7“-ში გამოქვეყნებულმა ამ სტატიამ შემთხვევით როდი მიიქცია ჩვენი ყურადღება — იქვე გამოქვეყნებული ფოტოსურათებიდან შემოგვცქეროდა ქართველი კაცი, ყოფილი „ავღანელი“, რომელიც ახლა თურმე ტაძრებს აშენებს და ხელდასხმისთვის ემზადება.**

**თუმცა 1989 წლის 15 თებერვალს დამთავრდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა. დიახ, ოცი წელი გავიდა „ინტერნაციონალური მისიის“ დასრულებიდან, მაგრამ მისი ნაკვალევი თუ ნაჭრილობევი ჯერ კიდევ დარჩება იქ მებრძოლთა სულსა და გულში და იქ დაღუპულთა ოჯახებშიც.**

# გაგა, რომელსაც სიკვდილის არ ეშინია

ომში გიორგი ჭიჭინაძე აღმოჩნდა მოხალისედაც და იძულებითაც. სამხედრო კომისარიატში „14-A“ რაზმში რომ გაანაწილეს, სასწავლებლად სხვა ახალწვეულებთან ერთად გროზნოში გადაისროლეს. სწორედ იქ გამოუცხადა მაიორმა, რომ საჭირო იყო მოხალისეები ავღანეთში და განცხადებები დაეწერათ.

— ვისაც არ უნდა? — იკითხა ერთმა გაბედულმა.

— მას სამშობლო არ უყვარს! — იყო პასუხი.

— მე ჩემი ოჯახი მიყვარს! — ისევ შეეპასუხა ის ჭაბუკი.

ოჯახი უყვარდა, მაგრამ ვაჟკაცს აბა გული როგორ გაუძლებდა, როცა თქვეს, რომ „სამშობლოს თქვენი იმედი აქვს, ბიჭებო!“.

ასე რომ, 1986 წლის 15 დეკემბერს ზუგდიდელი გოგა ჭიჭინაძე სხვა 500 კავკასიელ ახალწვეულთან ერთად სატვირთო თვითმფრინავით ქაბულში აღმოჩნდა და სწორედ აქედან იწყება ათასი ჭირ-ვარამით აღვსილი მისი საბრძოლო გზა. „კარიერის“ დაწყებიდან ხუთი თვის შემდეგ ავტომანქანა „ურალით“ პოლკში რომ ბრუნდებოდა, ნაღმს გადააწყდა. დასისხლიანებული ძლივს გამოძვრა ძარას მოწყვეტილი, დაჭეჭყილი კაბინიდან. ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა „დუშმანებს“, ცეცხლი გახსნა. მაშინ გაჩნდა მის სამხედრო ბილეთში შტაბის უფროსის მადლობა, პირველი ჯილდო კი „მამაცობისთვის“ პერმის ჰოსპიტალში დაწვა.

— საფეთქლამდე სანტიმეტრიღაა, — აღნიშნა ქირურგმა, თავიდან ნამსხვრევებს რომ ულებდა, — რაო, ბედნიერ პერანგში დაიბადე?

— ვენახში, — იხუმრა გოგამ.

კინაღამ სწორედ ვენახმა არ დაღუპა გოგა.

— იცით, რა ყურძენია ავღანეთში, — იგონებს გაგა, — საქართველოშიც კი არაა ასეთი, თითო მტევანი კილოგრამი იქნება, უზარმაზარი მარცვლები ხარის თვალებს წააგავს.

ჰოსპიტალის შემდეგ გაგა ჭიჭინაძე მზვერავთა ბატალიონში გადაიყვანეს. ერთხელ რაზმით დავალებიდან რომ ბრუნდებოდა, დანგრეულ ქვის ღობეში ყურძნის მტევნები დაინახეს.

გულმა არ მოუთმინათ, ჯავშანჟილეტი მიყარეს და ყურძენს ეცნენ. მაგრამ გაგამ კიდევ ერთი მარცვალი რომ გადაუშვა პირში, კინაღამ დაიხრჩო. ვაზების ჩრდილში 15 დუშმანი თვლემდა. მებრძოლები ეგრევე გავარდნენ სანგრებში, მხოლოდ ჯავშნიან მანქანაში ამოისუნთქეს და სიცილი აუტყდათ — ყურძენი არ გადაეყარათ.

— უდარდებლობითა და გაუფრთხილებლობით ბიჭების 25 პროცენტი დაიღუპა ომში, — წუხს გაგა, — მეც მათ შორის ვიქნებოდი, მაგრამ ღმერთმა გადამარჩინა.

და ეს ერთხელ როდი იყო. ის სამჯერ დაიჭრა და ორჯერ გაიქცა ჰოსპიტლიდან ფრონტზე. სასანგრე სოლიდარობის სინდრომის გამო რცხვენოდა ჰოსპიტლის საწოლში წოლა.

ისინი სამნი იყვნენ — თავგადაკლული მეგობრები — რუსი ივანე ორიოლიდან, აფხაზი დავითი გუდაუთიდან და თავად გაგა. როდესაც ივანე ნაღმზე აფეთქდა, გაგამ რვეული შემოილო, სადაც დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ ლოცვებს წერდა. სამსახურის დამთავრებამდე სია ასამდე ავიდა, რომელსაც დავითი ამთავრებდა.

— რუსი, აფხაზი, ქართველი, — იმეორებს ჩაფიქრებული გაგა, — ჩვენ ძმებივით ვიყავით. ახლანდელმა პოლიტიკოსებმა კი ჩვენი მტრებად გადაქცევა მოინდომეს.

სამშობლოში გაგა ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე დაბრუნდა. შემდეგ კი ძმის დაჟინებით დომბასში გადასახლებულა.

ასე გახდა ქართველი უკრაინელად.

ომის შემდეგ პირველ წლებში გაგა გულმოდგინედ სწავლობდა. დაამთავრა ორი ინსტიტუტი — საავტომობილო და ეკონომიკური. ბიზნესმენობა სცადა, მაგრამ ფულს სიხარული არ მოუტანია, ისე როგორც ქალებთან ურთიერთობას. ერთხელ ის ეკლესიაში შევიდა აღსარებისთვის.

— ერთი ოცნება მაქვს, — გულღია გახდა მამაო, — მინდა ავაგო წმინდა წამებულის ბონაფაცის ტაძარი. იყო ასეთი წმინდანი, რომელმაც სმა მიატოვა და ღმერთი იწამა. ახლანდელ ცოდვილ სულებს გადასარჩენად სწორედ რწმენა სჭირდებათ.

აბა, წარმოიდგინეთ მღვდლის გაოცება, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ გიორგი ისევ ეკლესიაში მივიდა და ტაძრის მშენებლობისთვის პირველი შესაწირი მიიტანა. მშენებლებიც თვითონ გამონახა, უფასოდ მუშაობაზე რომ დასთანხმდნენ.

ეკლესია საოლქო ნარკოდისპანსერის ეზოში ააშენეს. ღვთის მსახურებაში მამა რომანს ეხმარება მამა იგორი, ტაძარში სამსახურს საექიმო პრაქტიკასაც რომ უთავსებს.

— აქ დაღუპულებს ვახსენებთ, აქ კი სულს ვიმსუბუქებთ, — გვიხსნის გაგა, — აქ ერთმა ყოფილმა „ავღანელმა“ ტერაქტი ჩაიფიქრა. გონს მხოლოდ ამ ტაძარში მოეგო, საბედნიეროდ, დროზე.

გაგას არ უყვარს სიტყვა „ავღანელი“, მას უფრო მოსწონს „მებრძოლი ინტერნაციონალისტი“. ის ხალხს არ ჰყოფს ერებად. არ სარგებლობს სამხედრო შეღავათებით, სიკვდილისაც არ ეშინია, იმიტომ, რომ საკუთარ „ტყავზე“ იგრძნო ჭეშმარიტება: ჩვენ ყველანი ამ ქვეყნის სტუმრები ვართ. სტუმრად კი ღირსეულად უნდა მოიქცე.



**მოამზადა**
**ვალიკო სიმონიშვილმა**

**„ტრუდ-7“, 2009 წლის თებერვალი.**

**სურათზე: გიორგი ჭიჭინაძე წმინდა ბონიფაცის ეკლესიაში, თანამოაზრეებთან ერთად რომ ააშენა.**

## დაიჯესტი

### მეფე მიდასის პორტრეტი

**ინგლისელმა მკვლევარებმა — არქეოლოგმა ჯონ პრეგმა და თავის ქალის მიხედვით ადამიანის სახის აღდგენის ცნობილმა სპეციალისტმა რიჩარდ ნივმა მეფე მიდასის სახის რეკონსტრუქცია შეძლეს, სწორედ იმ მიდასისა, რომლის სახელი რახანია ლეგენდებშია შესული.**



ოლიმპოს მკვიდრმა, ღმერთმა დიონისემ უბოძა მას ნიჭი ყველაფრის ოქროდ ქცევისა, რასაც კი ხელს შეახებდა და უკვე შიმშილით სიკვდილის პირამდე მისულმა მეფემ ძლივს დააღწია თავი ამ საშინელ „საჩუქარს“. ღმერთმა აპოლონმა კი მიდასი „ვირის ყურებით“ „დაასაჩუქრა“ იმის გამო, რომ მენახირეთა ღმერთ პანთან მუსიკალურ შეჯიბრში მან აპოლონის უპირატესობა არ აღიარა.

მიუხედავად ლეგენდებისა, მიდასი — სავსებით რეალური ისტორიული პიროვნებაა, ფრიგიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეფე, რომელიც ჩ.წ.ა. 738-696 წლებში მეფობდა. ვარაუდობდნენ, რომ მან ან თავი მოიკლა, ანდა ქიმერიელებმა მოკლეს, რომლებმაც ქვეყანა დაიპყრეს. თუმცა ეს ცნობა ნაკლებად შეესაბამება თურქეთში მიგნებულ მის დიდებულ, მდიდრულ აკლდამას. თანაც, ქიმერიელებმა ფრიგიის დედაქალაქი გორდიონი მიდასის გარდაცვალებიდან 150 წლის შემდეგ დაიპყრეს.

ვარაუდობენ, რომ ლეგენდები მიდასის შესახებ რეალურ საფუძველს მოკლებული არ არის — მისი ყველაფრის ოქროდ გადაქცევის მითიური უნარი, როგორც ჩანს, ფრიგიაში უზარმაზარი ოქროს საბადოების მფლობელი მეფის აურაცხელი სიმდიდრის გამომსახველი პოეტური მეტაფორაა. ხოლო „ვირის ყურების“ ამბავი კი იმას მიგვანიშნებს, რომ მიდასს, შესაძლოა, ეგრეთ წოდებული „დავრინის კუზი“ ჰქონდა — ესაა ყურების ნიჟარებზე ერთგვარი გამონაზარდები, რაც მათ უჩვეულო ფორმას აძლევს.

### ველურ ბუნებაზე სიყვარულით

**„ნეშნლ ჯიოგრაფიკი“ — ველური ბუნების საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, სოლიდური და როგორც პროფესიონალებში, ისე რიგით მკითხველებში ძალიან პოპულარული ჟურნალია.** ბოლო დროს დედაქალაქის მთელმა რიგმა საკაბელო სატელევიზიო კომპანიამ ასევე დაიწყო „ნეშნლ ჯიოგრაფიკის“ ტელეარხის ტრანსლაცია, რომელსაც ყველა ასაკის მაყურებლები დიდი ხალისით უცქერენ, რადგან მისი სიუჟეტები საკუთარ საქმეზე შეყვარებული უმაღლესი დონის მეცნიერებისა და ოპერატორების მიერაა მომზადებული.



**სურათზე: ჟურნალ „ნეშნლ ჯიოგრაფიკის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი ვ.ჰარეტი გვატემალაში ექსპედიციის დროს, 1988 წელი.**

**უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## ხელოვნება

### ვენერა ქემოკლიძე



**გარდაიცვალა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის აფთიაქის გამგე, დამსახურებული პროვიზორი ქალბატონი ვენერა ქემოკლიძე.**

**ვენერა ქემოკლიძე 1963 წლიდან ემსახურებოდა სამშობიარო სახლის კეთილდღეობას. გამოირჩეოდა რა თავდაუზოგავი შრომით, სისპეტაკით, ერუდიციითა და თავმდაბლობით, თანამშრომელთა შორის სარგებლობდა დიდი პატივისცემით.**

**45 წლის განმავლობაში თითქმის 24-საათიანი მუშაობის რეჟიმში უხდებოდა შრომა, მაგრამ მიუხედავად ამ დიდი დატვირთვისა, პირნათლად და საქმის ღრმა ცოდნით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.**

**წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, უსათნოესი ქალბატონი, შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე წარმოადგენდა ოჯახის ნამდვილ ბურჯს.**

**გარდაცვალებით ქალბატონმა ვენერამ უდიდესი გულისტკივილი დაგვიტოვა თანამშრომლებს, ახლობლებსა და მეგობრებს.**

**მსუბუქი ყოფილიყოს ქალბატონო ვენერა თქვენთვის მშობლიური მიწა.**

**გულისტკივილით**
**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის თანამშრომლები**



**ბიძაშვილი რეზო თოფურია ოჯახით, ზურაბ, მარინა, ვახტანგ თოფურიები ოჯახებით, რძლები ინა, ლილი, მამიდაშვილები თამრიკო, ნინო სიხარულიძეები, ერეკლე ქუთათელაძე, სიძეები დათო გურგენიძე, პაატა რამიშვილი, მამუკა ხანთაძე, ანდრო, გულნარა ნადარეიშვილები, მანანა გაბუნია, დეიდაშვილები ლალი ჭყონია, თამაზ, დათო ტულუშები, დათო, ნუნუ გამგონეიშვილები, გულიკო, ლიდა ნიკოლეიშვილები, გუგულა ბარქაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ციალა თოფურიძე**

**პანაშვიდი 6 III, 17 სთ. გამოსვენება 7 III, 15 სთ. მისამართი: ზანდუკელის №3.**

---

**საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალთა საბჭოს აქტიური, ღვაწლმოსილი და დიდი ქველმოქმედი ქალბატონი**

**ეთერ თაბუკაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.**

---

**ნუგზარ ფოფხაძე ღრმა მწუხარებას გამოხატავს მეგობრის — ღირსეული მოქალაქის, ცნობილი სამხედრო მოღვაწის, გენერალ**

**პანტელეიმონ გიორგაძის**

**გარდაცვალების გამო და გულწრფელად თანაუგრძნობს მის ოჯახს.**

## განცხადება

**2009 წლის 25 მარტს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2008 წლის ბალანსის შედეგების განხილვა;
(მომხ. ნ. გუმბერიძე)
2. სს „ოპიზარის“ წესდების გადამტკიცება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით;
(მომხ. ც. მიქაძე)
3. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილების შეტანა;
4. სხვადასხვა.

**სს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2009 წლის 9 თებერვალი.**

**დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ოპიზარის“ დირექტორატში.**

**სულიერება**

# მტკვრის სათავესთან ქვით ჩაქოლილნი წმიდა მოწამე ცხრანი ყრმანი კოლაელნი



**6 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მოწამეებს ცხრა ყრმა კოლაელებს.**

...ეს ყრმები ცხოვრობდნენ სოფელ კოლაში, მათ გვერდით ქრისტიანები ცხოვრობდნენ.

ცნობილია, რომ ამ ისტორიულ მხარეში უმეტესობა მოსახლეობისა კერპთაყვანისმცემელი იყო. ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები, მთელი დღეების განმავლობაში, ერთად თამაშობდნენ. საღამოობით, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკავდნენ, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და ტაძარში მიდიოდნენ სალოცავად. მათ აედევნებოდნენ ხოლმე წარმართი ბავშვები, ისინი ცხრანი იყვნენ: გუარამი, ადარნასე, ბაქარ, ვაჩე, ბარძიმ, დაჩი, ჯუანშერ, რამაზი და ფარსმანი... აი, ეს ყრმები მტკვრის სათავესთან, სადაც მათ ნათელ იღეს, ქვით ჩაქოლეს...

**ეს ამბავი მოხდა VI საუკუნეში სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში.**

**გიული ლიპარტია**

**პერიოდიკა**


ერეკლეს გზა
№1 2009
ПУТЬ ИРАКЛИЯ

# ერეკლეს გზა, ანუ სწორება ჩრდილოეთზე

ორი თვე გავიდა რაც ბატონ არჩილ ჭყოიძის ინიციატივით დაარსდა ერეკლე II-ის საზოგადოება. ორიოდე დღის წინათ კი საერთაშორისო პრეს-ცენტრ „რია ნოვოსტის“ ოფისში დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საზოგადოების გაზეთის „ერეკლეს გზის“ პირველი ნომერი. გაზეთი ორენოვანია. მისი ქართული და რუსული გვერდები აბსოლუტურად იდენტურია. გაზეთი საინტერესო იქნება რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის და საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი რუსეთის მოქალაქეებისთვისაც. გაზეთის ტირაჟი დიდი არ არის, მაგრამ იგი რეგიონებში გავრცელდება და ამით მკითხველსაც მოიზიდავს.



„გაზეთის ძირითადი მიზანია სრული სიმართლე ითქვას რუსეთ-საქართველოს დღევანდელ ურთიერთობებზე. ვეძებოთ პოზიტიური მოვლენები და არა ნეგატიური. გაზეთის შემდგომ ნომრებში აუცილებლად დაეთმობა ადგილი ქართული და რუსული ლიტერატურისა და პოეზიის შედევრების პოპულარიზაციას. გაზეთის ფურცლებზე აუცილებლად გავაშუქებთ რუსულ მასმედიაში გახმაურებულ ისეთ ფაქტებსაც, რომელიც ხელს უშლის საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობას“, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ბატონმა არჩილ ჭყოიძემ.

გზა დავულოცოთ ახალ გაზეთს და იმედი ვიქონიოთ, რომ იგი ხელს შეუწყობს ამ ორ ერს შორის ხელოვნურად ჩატეხილი ხიდის აღდგენას.

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
**ავტორის ფოტო.**

**ინფორმაცია**

# მარტონი ვართ თუ არა ქვეყანაზე?



**სამყაროში კაცობრიობის მარტოობა, შესაძლოა, დასასრულს უახლოვდება. გაზეთ „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნის“ ცნობით, 2009 წლის 6 მარტს ამერიკელები მზის ორბიტაზე უშვებენ კოსმოსურ აპარატ ნასა „კეპლერს“, რომელიც კოსმოსში დედამიწის ტიპის პლანეტების ძებნას შეუდგება.**



„ლაპარაკია იმ პლანეტებზე, რომლებზეც თეორიულად შეიძლება სიცოცხლის არსებობა იმ გაგებით, როგორც ეს ჩვენ გვესმის. მათზე უნდა არსებობდეს პირობები, რომლებშიც წყალი სითხისებრ მდგომარეობაში იქნება ანუ არც ძალიან ცხელოდეს, არც ძალიან ციოდეს“, – ნათქვამია სტატიაში.

„კეპლერს“, რომელიც პლანეტებს თავიანთი ვარსკვლავების დისკოების ფონზე გავლის მომენტში აფიქსირებს, დედამიწის ათეულობით ორეულის მონახვა შეუძლია, ცხადია იმ პირობით, თუკი ისინი არსებობენ. **ამოცანა ის კი არ არის, რომ მიაგნონ კონკრეტულ პლანეტას, არამედ ის, რომ გამოარკვიონ, თუ რამდენადაა გავრცელებული სამყაროში დედამიწის ტიპის ციური სხეულები.**

„კეპლერის“ გულს, რომელიც 1,7 მეტრის დიამეტრის ტელესკოპითაა აღჭურვილი, 95 მეგაპიქსილის სიმძლავრის ციფრული ფოტოაპარატი წარმოადგენს. სამწლინახევრის განმავლობაში ტელესკოპი ლებედევის თანავარსკვლავედის ერთ უბანს დააკვირდება და ყოველ ნახევარ საათში ერთხელ 100 ათასი ვარსკვლავის სიკაშკაშეს გაზომავს. კვლევათა შედეგები, ყველაზე ადრე, სამწლინახევრის შემდეგ გახდება ცნობილი.

**– დედამიწის ტიპის პლანეტების აღმოჩენა გაამაგრებს ჰიპოთეზას სამყაროში სიცოცხლის ფართო გავრცელების შესახებ, ხოლო მათი არარსებობა დედამიწის უნიკალურობას მიგვანიშნებს,** – განუცხადა ჟურნალისტებს პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელმა უილიამ ბორუკიმ.

სხვათა შორის, მზის ტიპის ვარსკვლავის გარშემო მბრუნავი დედამიწის ტიპის პირველი პლანეტა სულ ცოტა ხნის წინათ, 1995 წელს აღმოაჩინეს. განვლილი 14 წლის მანძილზე კიდევ 340 მსგავსი პლანეტა დაადგინეს, მაგრამ მათგან ძალიან ცოტაა ჩვენი მზის სისტემის მსგავს სისტემებში და, შესაბამისად, იქ სიცოცხლისთვის არცთუ ხელსაყრელი პირობებია.

**ვულოცავთ**

**ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ბატონ თამაზ ებანოიძეს ამ დღეებში შვილიშვილი – ბარბარე შეეძინა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს მას ამ დიდ სიხარულს. აქვე ვაქვეყნებთ ბატონი თამაზის ლექსს, რომელიც მას ამ სიხარულმა დააწერინა.**

## ახლადმოვლენილ სიცოცხლეს

*შვილიშვილის დასალოცი ვთქვა ბარემ,*
*თუმცა არის მხოლოდ ათი დღისა:*
*ბედნიერი გაიზარდე, ბარბარე,*
*არ მოგაკლდეს შეწევნაი ღვთისა,*
*ეს ქვეყანა დაგხვდეს სულ სხვა ხმისა*
*და საბედო გახდი კაი ყმისა...*

თამაზ ებანოიძე

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* 98-65-87; 899 32-85-76.

**კადრი**



**ანეკდოტები**

მიხოს მშვიდად სძინავს, რადგან ყველა გადასახადი გადახდილი აქვს. მიტუსაც მშვიდად სძინავს, რადგან მასში სინდისს სძინავს. ხოლო თუ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, საერთოდ რატომ უნდა გადაიხადო ფული?

* * *

კრიზისიდან გამოსვლის მიზნით გადაწყვეტილია ბანკნოტების გამოშვება წარწერით: „თავად შეღებე!“



* * *

იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს ახალი შინაური საყვარელი არსება. გარდა იმისა, რომ იგი ითხოვს საჭმელს, სასმელს და გართობას, ის გამუდმებით მოითხოვს კურილიის კუნძულების გადმოცემასაც.

* * *

როდესაც ადამიანი იცინის, იგი უფრო კეთილი ხდება. ამიტომ, ვიდრე ვინმეს ფულის სესხებას სთხოვდეთ, ანეკდოტი მოუყევით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.